საქართველოში გავრცელებული შავი და რუხი ვირთაგვა შეფერილობის თავისებურებების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება. შავი ვირთაგვა მუქი ნაცრისფერია მოშავო ელფერით. გვერდებისკენ ბეწვი ღიავდება და მუცელი ღია ნაცრისფერი ან ზურგის შეფერილობაზე უფრო ბაცი ფერის აქვს. ბეწვი კუდის მთელ სიგრძეზე თანაბრად პიგმენტირებულია. კუდის ბეწვის ზედა და ქვედა მხარე ზურგის ბეწვის შეფერილობისაა. შავი ვირთაგვას ქვესახეობა *Rattus rattus alecsandricus*, რომლის რამდენიმე ეგზემპლარი მოიპოვება კოლექციაში, *Rattus rattus*-თან შედარებით ბევრად უფრო ღია ნაცრისფერია ჟანგისფერი ელფერით, მუცელი კი მოთეთრო-მოყვითალო ან ჩალისფერი აქვს.

რაც შეეხება რუხ ვირთაგვას, მისი ზურგი მუქი წაბლისფერია, გვერდებზე ბეწვი ღიავდება და მუცელზე მონაცრისფრო-მოყვითალო ან ჩალისფერში გადადის. შავი ვირთაგვის შეფერილობაში ჭარბობს მუქი ნაცრისფერი და შავი ფერები, ხოლო რუხ ვირთაგვაში ჭარბობს მუქი წაბლისფერი, ყავისფერი და ჟანგისფერი. რუხი ვირთაგვის კუდის ბეწვი წარმოდგენილია მუქი წაბლისფერით ზემოთ და ბაცი წაბლისფერით ქვედა მხარეს.

შავი და რუხი ვირთაგვა ერთმანეთისგან განსხვავდება სხეულის აგებულების მიხედვითაც. ამ მიზნით შესწავლილ იქნა ორივე სახეობის განაზომები: სხეულის (L), კუდის (C), ყურის (Au), უკანა თათის (P1) სიგრძე (მმ-ში), სხეულის მასა (W გ-ში) და სხეულის აგებულების ძირითადი ინდექსები: კუდის – C/L, ყურის – Au/L, უკანა თათის – P1/L და მასის – W/L (%-ში).

ვირთაგვებში სქესობრივი დიმორფიზმის საკითხის გარკვევის მიზნით, როგორც შავი, ასევე რუხი ვირთაგვის მამრი და მდედრი ეგზემპლარებისთვის გათვლილი იქნა სხეულის ძირითადი განაზომები და ინდექსები; ამასთან ერთად დადგინდა ზემომოყვანილი მორფოლოგიური ნიშნების სტატისტიკური

მასსიათებლები. შავი ვირთაგვის 45 მდედრ და 43 მამრ ეგზემპლარზე ჩატარებულმა გათვლებმა გვიჩვენა, რომ მდედრის სხეულის, კუდის, ყურისა და უკანა თათის საშუალო სიგრძეა, შესაბამისად: 165,69±2,79 მმ, 191,24±3,90 მმ, 22,25±0,27 მმ, 33,67±0,32 მმ, სხეულის საშუალო მასა – 132,44±7,65 გ; მამრი ეგზემპლარების სხეულის განაზომების საშუალო მაჩვენებლებია, შესაბამისად: 170,19±3,46 მმ, 187,83±3,71 მმ, 21,91±0,40 მმ, 34,29±0,42 მმ, 133,97±7,11 გ. მდედრისა და მამრის სხეულის განაზომების საშუალო მნიშვნელობებს შორის არსებული სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნო არ არის [1], რაც იმაზე მიუთითებს, რომ შავ ვირთაგვებში სქესობრივ დიმორფიზმს ადგილი არა აქვს.

ანალოგიური გათვლები იქნა ჩატარებული რუხი ვირთაგვის 55 მდედრ და 63 მამრ ეგზემპლარზე. მდედრის სხეულის ზემოაღნიშნული განაზომების საშუალო მნიშვნელობებია შესაბამისად: 197,73±3,27 მმ, 174,52±2,89 მმ, 20,85±0,34 მმ, 38,00±0,37 მმ და 234,32±15,24 გ; მამრის – 200,13±4,33 მმ, 172,32±3,73 მმ, 20,78±0,29 მმ, 38,92±0,74 მმ და 252,66±16,35 გ.

როგორც შავი ვირთაგვის მამრ ეგზემპლარებს, ასევე რუხი ვირთაგვის მამრებსაც სხეულის, უკანა თათის სიგრძისა და მასის საშუალო მაჩვენებელი მეტი აქვთ ვიდრე მდედრებს, ხოლო კუდისა და ყურის სიგრძით ჩამორჩებიან მათ. მაგრამ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებლებს შორის არსებული სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნო არ არის. ე. ი. სქესობრივ დიმორფიზმს არც რუხი ვირთაგვების შემთხვევაში აქვს ადგილი.

ცხრილი 1 და 2-ში მოცემულია შავი და რუხი ვირთაგვების სხეულის განაზომები და აგებულების ძირითადი ინდექსები; ინდივიდთა რაოდენობა (n), განაზომის მაქსიმალური (max), მინიმალური (min) და საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა ცდომილებით ($M\pm m$), საშუალო კვადრატული გადახრა (σ), ვარიაციის კოეფიციენტი (CV%) და 95%-იანი ნდობის ინტერვალი (Iq).

ცნობილია, რომ რუხი ვირთაგვა შავ ვირთაგვაზე უფრო დიდი ცხოველია, მისი სხეულის, უკანა თათის სიგრძე და სხეულის მასა ბევრად აღემატება შავი ვირთაგვის იმავე მასსიათებელს [2-4]. რაც შეეხება კუდისა და ყურის სიგრძეს, შავ ვირთაგვას, როგორც წესი, სხეულზე უფრო გრძელი კუდი და დიდი ზომის ყურები აქვს. მ. შიდლოვსკის თანახმად შავი ვირთაგვის კუდი სხეულის სიგრძის 133% შეადგენს, რუხისა – 80% [2]. როგორც ცხრილ 2-დან ჩანს შავი ვირთაგვის კუდის ინდექსი 113%-ია, ხოლო რუხი ვირთაგვის – 87,8%. ი. გრიმოვი [3] როგორც შავი, ასევე რუხი ვირთაგვის სხეულისა და კუდის უფრო დაბალ მნიშვნელობებს ასახელებს. მისი მონაცემებით შავი ვირთაგვის სხეულისა და კუდის სიგრძეა, შესაბამისად: 190 მმ და 228 მმ, ხოლო რუხი ვირთაგვის – 250 მმ და 120 მმ. ცხრილ 1-დან ჩანს, რომ საქართველოში გავრცელებულ შავ და რუხ ვირთაგვებს სხეულის და კუდის სიგრძე მეტი აქვთ, ვიდრე ი. გრიმოვის მიერ აღწერილ იგივე სახეობებს.

ნახაზზე მოყვანილია შავი და რუხი ვირთაგვების უკანა თათის განაზომის ჰისტოგრამები, სადაც ნათლად ჩანს ამ ორი სახეობის ურთიერთგამიჯვნა.

დათვლილ იქნა შავი და რუხი ვირთაგვების აღნიშნულ მორფოლოგიურ ნიშნებს შორის კორელაციის კოეფიციენტები. როგორც შავი, ასევე რუხი ვირთაგვების შემთხვევაში ყველაზე მაღალია სხეულის, კუდის, ყურის და უკანა თათის სიგრძის კორელაციის კოეფიციენტები სხეულის მასასთან, რაც სავსებით ლოგიკურია. ორივე სახეობისთვის ერთნაირად მაღალია სხეულის სიგრძის კორელაციის კოეფიციენტი კუდის სიგრძესთან. შავი ვირთაგვის შემთხვევაში – 0,663. ხოლო რუხის – 0,613. ყველაზე დაბალია უკანა თათის სიგრძის კორელაციის კოეფიციენტი სხეულის სიგრძესთან და კუდის სიგრძესთან: შავი ვირთაგვის შემთხვევაში, შესაბამისად – 0,261 და 0,285, ხოლო რუხი ვირთაგვის – 0,243 და 0,395. ორივე სახეობას ყურის სიგრძის კორელაციის კოეფიციენტი უკანა თათის სიგრძესთან ერთნაირად მაღალი აქვს: 0,522 (შავს) და 0,665 (რუხს).

შესწავლილი იქნა აგრეთვე ქ. თბილისში მოპოვებული რუხი ვირთაგვის 38 მდედრისა და 53 მამრის სხეულის განაზომები და ინდექსები. მამრი ეგზემპლარების სხეულის, კუდის, ყურის, უკანა თათის სიგრძისა და სხეულის მასის საშუალო მნიშვნელობებია შესაბამისად: 202,08±4,76 მმ, 172,42±4,16 მმ, 20,79±0,36 მმ, 39,02±0,41 მმ და 243,67±11,83 გ; მდედრი ეგზემპლარების – 200,34±4,35 მმ, 175,68±3,33 მმ, 20,89±0,28 მმ, 38,51±0,41 მმ და 211,27±8,72 გ.


გათვლებმა აჩვენა, რომ შესწავლილ ინდივიდთა ამონაკრეფისათვის ის სხვაობა, რაც მამრისა და მდედრის სხეულის განაზომების საშუალო მნიშვნელობებს შორის არსებობს, სტატისტიკურად სარწმუნო არ არის. ე. ი. თბილისის რუხი ვირთაგვების პოპულაციაშიც სქესობრივ დიმორფიქმს ადგილი არა აქვს.

ცხრილ 2-სა და ცხრილ 3-ში მოყვანილი ფაქტობრივი მასალის ურთიერთშედარებისას ნათლად ჩანს, რომ თბილისის პოპულაციის რუხი ვირთაგვის სხეულის განაზომების საშუალო მნიშვნელობები და

საქართველოში გავრცელებული შავი (*Rattus rattus*) და რუხი (*Rattus norvegicus*) ვირთაგვების
სხეულის განაზომები ცხრილი 1

საქართველოში გავრცელებული შავი (*Rattus rattus*) და რუხი (*Rattus norvegicus*) ვირთაგვების
სხეულის აგებულების ძირითადი ინდექსები (%) ცხრილი 2

— PL 3 KNOX/CLB
 — PL 3 JUNE



PL 3 KNOX/CLB - PL 3 JUNE

ინდექსები სრულ თანხვედრაშია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოპოვებული რუხი ვირთაგვის სხეულის განაზომებსა და ინდექსებთან, რაც მათი არეალის ერთიანობაზე მიუთითებს.

ცხრილი 3

თბილისის პოპულაციის რუხი ვირთაგვის (*Rattus norvegicus*) სხეულის განაზომები და ინდექსები

საქართველოს და ქ. თბილისის მასშტაბით მოპოვებული რუხი ვირთაგვების და შავი ვირთაგვის მდებრი და მამრი ეგზემპლარების სხეულის განაზომების საშუალო მაჩვენებლების ურთიერთშედარებისას აღინიშნება საინტერესო ფაქტი. კერძოდ, მამრი ეგზემპლარები სხეულის, უკანა თათის სიგრძისა და მასის მიხედვით რამდენადმე აღემატებიან მდებრებს, ხოლო კუდისა და ყურის სიგრძის საშუალო მნიშვნელობებით ჩამორჩებიან მათ. განაზომების საშუალო მაჩვენებლებს შორის არსებული სხვაობა ტენდენციური ხასიათისაა, თუმცა სტატისტიკურად სარწმუნო არ არის, რაც მიუთითებს ამ საკითხის შესწავლის აუცილებლობაზე გარკვეული წლების შემდეგ, რათა საბოლოოდ დადგინდეს შავი და რუხი ვირთაგვების პოპულაციებში რეალურად მიმდინარე პროცესები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

Äæ. İ. Ðàèèàìè, Ä. Ä. Öèèïðèøáèèè, Ö. Ä. Ááãáèäóðè, Í. Ä. Ìèðóàøáèèè, Í. Ä. Íàèèðàøáèèè

Ìððíèíäè÷àñèàý òàðàèððèñðèèè èðññ ðíäà Rattus ðàññðíñððàííñð à Äðóçèè

Ðáçþíá

Íà ïñííáá ïííáíèáðíèð ïááèþááíèè ïíèàçáíí, ÷ðí à Äðóçèè èíááðñý ááà àèáà èðññ ðíäà *Rattus*: ÷áðíàý èðññà (*Rattus rattus* Linnaeus, 1758) è ñáðàý èðññà (*Irattus norvegicus* Berkenhout, 1769).

Èçð÷áíú íèðàñèà ïáðà, ïñííáíúá ïàðóáíúá ïðííáðú è èíááèñú ðáèíñèíæáíèý ýðèð àèáíá. Ííèð÷áííúá ðáçóèùðàðú ñàèááðáèùñðáóþò ïá ïðñòðñðáèè ïíèíáíáí àèíððíçà èàè ó ÷áðíúð, ðàè è ó ñáðúò èðññ. Íáíáèí, ïááèþáááðñý ïáçíá÷èðáèùííá ïðááúøáíèá àèèí ðáèà è çááíáè èáíú, ïàññú ðáèà, à ðàèæá ïðííñèðáèùíí ïáíúøèá àèèíá óðà è ðáíñðà ó ñàòíá íáíèð àèáíá.

Óñðàííáæáííúé òàèò òðááóáò ààèúíáéøááí èçó÷áíèý äèý ííèó÷áíèý èðíáíáíáí ðáçóèüðàðà ïí àáíííò áííðíñó.

J. P. Ratiani, D. G. Tskipurishvili, Kh. V. Begelauri, N. G. Miruashvili, M. A. Nadirashvili

Morphological characteristic of rats of the genus Rattus spread in Georgia

Summary

On the basis of many years investigation it was shown, that there are two rat species of the genus *Rattus* in Georgia. These species are: black rat (*Rattus rattus* Linnaeus, 1758) and grey rat (*Rattus norvegicus* Berkenhout, 1769).

The fur coloration, the basic external measurements and the indecis of rat's body structure of both species are studied. The statistical treatment of the rats' external measurements in the species mentioned above shows that neither the black nor the grey rats indergo sex dimorphism.

ლიტერატურა

1. Í. À. Ìëíðèíñèèé. Áèíáðððèý. Èçä-áí Ìñèíáñèíáí óíèááðñèèðàðà, 1970.
2. Ì. Á. Øèæíáñèèé. Ííðááæèèðàèü äðñçóíá Çàèáàèçüý. – Õàèèèñè, Ìáóíèáðááà, 1976, ñ. 117-121.
3. Ìæáèíèèðàèùèá òàóíú ÑÑÑÐ. ×àñðü 1. Èçä-áí Àèáááèèè Íàóé ÑÑÑÐ, Çííèíáè÷áñèèé èíñðèèðò, Ì. – è., 1965, ñ. 443-450.
4. Ñáðàý èðñà. Àèáááèèèé Íàóé ÑÑÑÐ. – Ì., Íàóèà, 1990, ñ. 5-181.

დ. ცქიფურიშვილი, ვ. რატიანი

**APODEMUS MICROPS-ის საქართველოში გავრცელებისას
დაკავშირებით**

საქართველოში გავრცელებული Apodemus-ის გვარის ტყის თაგვის სისტემატიკის საკითხი დღემდე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რაც გამოწვეულია იმით, რომ არ არის საბოლოოდ გარკვეული ამ გვარის ტყის თაგვის სახეობრივი შედგენილობა, თუმცა მათი შესწავლა 1899 წლიდან მიმდინარეობს, როდესაც გ. რადეს მიერ აღწერილ იქნა კავკასიის მუზეუმის კოლექციაში არსებული თბილისში, ყაზბეგში, ბორჯომში, ბაკურიანში, ლომის მთასა და მანგლისში მოპოვებული ტყის თაგვის ეგზემპლარები. შემდეგ წლებში მკვლევარნი ასახელებდნენ საქართველოში Apodemus-ის გვარის ტყის თაგვის ერთ, ორ და სამ სახეობას [1-5]. ბოლო წლებში მათი რიცხვი ხუთამდე გაიზარდა [6, 7].

მკვლევართა აზრის დღემდე არსებული სხვადასხვაობა საკვლევი ობიექტის სირთულითაა გამოწვეული. მრავალფეროვანი და რთული რელიეფის მქონე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ტყის თაგვის ფართოდ გავრცელება, ზღვის დონიდან დიდი და მცირე კავკასიონის მაღალმთიან ალპურ ზონამდე, მის მორფოლოგიურ ნიშან-თვისებათა დიდ ცვალებადობაში აისახება. ტყის თაგვი ეკოლოგიურად ძალზე პლასტიკურია და მისი მორფოლოგიური ნიშნები როგორიცაა: ბეწვის შეფერილობა, ლაქიანობა, სხეულის, კიდურების, ქალას ზომები და სტრუქტურული თავისებურებანი დიდ დიაპაზონში იცვლება.

მას შემდეგ რაც 1952 წელს გამოქვეყნდა ვ. კრატახვილის და ბ. როსიცკის სტატია "Apodemus-ის გვარის ბიონომია და ტაქსონომია ჩეხოსლოვაკიაში" [8], სადაც აღწერილია ახალი სახეობა apodemus microps, როგორც ჩეხოსლოვაკიაში არსებული Apodemus-ის მეოთხე ფორმა და ამავე დროს გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ის შეიძლება არსებობდეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც, დაიწყო Apodemus-ის გვარის შესწავლა-გადახედვა, რის შედეგად უკრაინაში, შუა აზიის რესპუბლიკებში

და ბოლო წლებში აზერბაიჯანშიც აღმოჩენილ იქნა *Apodemus microps*-ი. ი. პავლინოვი და ო. როსოლიმო ვარაუდობენ ამ სახეობის არსებობას საქართველოშიც [9].

ამასთან დაკავშირებით, საქართველოში *Apodemus*-ის გვარის ტყის თაგვების შესწავლისას საჭირო გახდა იმ მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, რომლებიც გამოჰყოფს *Apodemus microps* *Apodemus*-ის გვარის სხვა ფორმებიდან.

შრომაში [8] ჯ. კრატახვილისა და ბ. როსიცკის მიერ *Apodemus microps*-ი აღწერილია, როგორც *Apodemus*-ის გვარის ტყის თაგვებში ყველაზე მცირე ზომის თაგვი, რომელიც ხასიათდება პატარა უკანა თათით, პატარა ყურებითა და თვალებით. კუდის სიგრძე სხეულის სიგრძეზე ნაკლებია. აქვს რუხი ფერის ბეწვი. ის *A. sylvaticus*-ზე უფრო მუქი შეფერილობისაა. ცხრილ 1-ში მოცემულია *Apodemus sylvaticus* და *Apodemus microps*-ის სხეულის, კუდის, უკანა თათის სიგრძის და თვალის განაზომების max, min და საშუალო მნიშვნელობები და ინდექსები [8]-ის მიხედვით.

ცხრილი 1

A. sylvaticus და *A. microps*-ის მორფოლოგიურ ნიშანთა განაზომები და ინდექსები
მორფოლოგიური

\bar{M}

—

*) ინდექსი=სხეულის საშუალო სიგრძე/ნიშნის საშუალო სიგრძეზე.

**) ავტორებს მითითებული აქვთ, რომ თვალის ზომა მხოლოდ ცოცხალ ცხოველზე უნდა განისაზღვროს.

[8]-ში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ *A. microps*-ს სხვა ფორმებისგან (*A. sylvaticus*, *A. flavicollis*, *A. agrarius*) განსხვავებით გააჩნია გარემო პირობებისადმი მკვეთრად გამოხატული მოთხოვნა. ის ბინადრობს სამხრეთ სლოვაკიის ძალიან მშრალ, თბილ და ნაკლებად დაჩრდილულ ბიოტოპებში. ამავე დროს, ფ. საიკლ და სხ. აღნიშნავენ [10], რომ *A. microps*-ის სიმჭიდროვე ძალიან დაბალია, რასაც მოწმობს თვით ჯ. კრატახვილისა და ბ. როსიცკის მონაცემებიც, 700 დაჭერილი ტყის თაგვიდან 19 (2,7%) ეკუთვნოდა *Apodemus microps*-ს.

საქართველოში *Apodemus microps*-ის გამოსავლენად შესწავლილია როგორც ზოოლოგიის ინსტიტუტის ტყის თაგვის სამუზეუმო კოლექცია, ასევე ახლად მოპოვებული მასალა, რომელიც ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდანაა აღებული და 1045 ეგზემპლარი ტყის თაგვით განისაზღვრება. საქართველოს საკოლექციო მასალა საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს (183 მოპოვების პუნქტი). შესწავლილ იქნა 4000 ტყავი და თავის ქალა, რომელიც 50 პირობით პოპულაციას ეკუთვნის. ტყის თაგვების განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე დაკავშირებულია მცენარეული საფარის ლანდშაფტურ განაწილებასთან და ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით 5 ზონად არის დაყოფილი. პოპულაციები ზონების მიხედვით არის დაჯგუფებული. ზონაში შემავალ თითოეულ პოპულაციისთვის დათვლილია სხეულისა და ქალას განაზომების სტატისტიკური მახასიათებლები. სულ შესწავლილია 2122 ცხოველი. *Apodemus microps*-ის განაზომებთან შესადარებლად ცხრილ 2-ში მოყვანილია ტყის თაგვის მხოლოდ სხეულის განაზომების საშუალო მნიშვნელობები ზონების მიხედვით. ზონა დახასიათებულია მასში შემავალ პოპულაციებში ნიშან-თვისების საშუალო მნიშვნელობის მაქსიმალური და მინიმალური სიდიდით. ასე მაგ. II ზონაში შესწავლილია 10 პოპულაცია. თითოეული მათგანისათვის დათვლილია მორფოლოგიურ ნიშან-თვისების საშუალო მნიშვნელობა

პოპულაციაში. ზონის დასახასიათებლად კი ცხრილ 2-ში მოტანილია მხოლოდ ორი სიდიდე, მოცემული ნიშნისთვის საშუალო მნიშვნელობებს შორის მინიმალური და მაქსიმალური.

ცხრილი 2

საქართველოში გავრცელებული Apodemus-ის გვარის ტყის თაგვის სხეულის განაზომთა საშუალო მნიშვნელობები ზონების მიხედვით მორფოლოგიური

I – დასავლეთ საქართველოს დაბლობები და მთის ძირი ზღვის დონიდან 300 მეტრამდე;		II – აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ტყის ზონა;		III – ზღვის დონიდან; პირველი სარტყელი – 300-700 მ ზღვის დონიდან;		IV – ზღვის დონიდან; მეორე სარტყელი – 700-1200 მ ზღვის დონიდან;		V – დიდი და მცირე აკაკისონის მაღალმთიანეთი; პირველი სარტყელი – 700-1200 მ მაღალმთიანეთის სუბალპური ტყეები	
ნიშანი მმ-ში	სარტყელი (მაღალმთიანი)	I	II	III	IV	V	V		
							1	2	
სხეულის IV – საშუალო	91,50	90,87	91,75	84,38	73,97	90,79	108,78	89,60	
სიგრძე V – დიდი და მცირე აკაკისონის მაღალმთიანეთი; პირველი სარტყელი – 700-1200 მ მაღალმთიანეთის სუბალპური ტყეები	95,03	99,73	102,97	100,56	98,66	93,93	98,91	105,11	
კულის მეორე სარტყელი – უბრალო სუბალპური მაღალმთიანეთი	89,02	90,00	96,26	86,49	89,20	91,52	100,25	96,84	
სიგრძე საქართველოს ტყის აკაკისონის სუბალპური ტყეები	100,03	101,17	105,06	98,38	107,60	94,95	101,58	109,20	
ყურის საშუალო სიგრძეზე, ამასთანავე ყურის სიგრძეა ის ფაქტი, რომ პოპულაციებში ამოკრუვის მოცულობა ბევრად მეტია ($n > 19$) იმ მოცულობაზე, რაც A. microps-თვის არის მითითებული [8]. მონაცემების თანახმად, 50 პოპულაციებიდან მხოლოდ 3 პოპულაციის სხეულის სიგრძე აღმოჩნდა A. microps-ის სხეულის საშუალო სიგრძეზე ნაკლები. ეს პოპულაციები: შოვის (78,97 მმ), კლდის (84,38 მმ)	13,59	14,06	15,19	14,00	14,08	14,49	14,77	14,46	
უკანა დათმის მთის (87,28 მმ) ცხრილ 2-ში მოცემულია დასახასიათებელი ტყის თაგვის სხეულის განაზომთა საშუალო მნიშვნელობები და ინდექსები. შედარებისთვის აქვე ნაჩვენებია A. sylvaticus და A. microps-ის სხეულის განაზომთა ინდექსები [8]-ის მიხედვით.	21,63	22,38	23,84	21,00	20,32	21,00	20,72	20,89	
სიგრძე	21,63	22,38	23,84	21,00	20,32	21,88	21,52	21,97	

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, ამ პოპულაციის თაგვები ხასიათდებიან დიდი ზომის უკანა თათით, გრძელი ყურებით, კულის სიგრძე სხეულის სიგრძეზე მეტია ან ტოლი, რაც A. microps-თვის არ არის დამახასიათებელი. იგივეს ადასტურებენ ინდექსებიც. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ უკანა თათის სიგრძე ნაკლებად ცვალებადი სახეობის დამახასიათებელი ნიშანია, ნათელი გახდება, რომ აღნიშნული პოპულაციები A. microps-ს არ წარმოადგენენ, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი ბიოტოპების განსხვავებაზე და სხეულის შეფერილობაზე.

ჩვენ მიერ შესწავლილი პოპულაციებიდან A. microps-ის მორფოლოგიურ დახასიათებას ყველაზე მეტად გვარის პოპულაცია (I ზონა) პასუხობს. ამ პოპულაციის ტყის თაგვებს აქვთ ჩვენ მიერ შესწავლილი

ტყის თავგებს შორის ყველაზე პატარა ყურები (13,59 მმ). კუდის სიგრძე სხეულის სიგრძეზე ნაკლები ($L=91,5$ მმ, $C=89,0$ მმ) და უმრავლესობას (90%) არ გააჩნიათ მკერდზე ყვითელი ლაქა. მაგრამ გავრის პოპულაციის თავგების შეფერილობა (ტიპური *A. sylvaticus*-თვის), სხეულისა და უკანა თათის სიგრძე, მათი გავრცელების ბიოტოპი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ისინი *A. microps*-ად მივიჩნიოთ. ინდექსების მიხედვით მათ მხოლოდ ყურის ინდექსი (6.73) აახლოვებთ *A. microps*-თან (6,55).

ცხრილი 3

შოვის, კლდის და ლომისმთის ტყის თავგის პოპულაციებში სხეულის განაზომთა საშუალო მნიშვნელობები და ინდექსები

მორფოლოგიუ რი ნიშანი მმ-ში	პოპულაცია						ინდექსები	
	შოვის		კლდის		ლომისმთის		A.	A.
	\bar{M}	ინდ.	\bar{M}	ინდ.	\bar{M}	ინდ.	syl.	micr.
სხეულის სიგრძე	78,97	–	84,38	–	87,6 8	–	–	–
კუდის სიგრძე	90,26	0,87	95,52	0,88	87,5 0	1,0	1,1	1,1
ყურის სიგრძე	14,90	5,3	16,17	5,2	14,7 7	5,9	5,60	6,55
უკანა თათის სიგრძე	20,76	3,8	21,67	3,89	20,9 3	4,18	4,27	4,57

როგორც აღვნიშნეთ, სხეულის განაზომების გარდა *A. microps*-ს გამოყოფენ *Apodemus*-ის გვარის სხვა ფორმებისაგან მკერდზე ლაქის და სხეულის შეფერილობის მიხედვით. ცნობილია რომ მას მკერდზე ლაქა თითქმის არ გააჩნია. გ. კუზნეცოვი ლაქის არსებობას მხოლოდ 10%-მდე მიუთითებს [11]. სხეულის შეფერილობა მუქი ნაცრისფერია. *A. sylvaticus*-ის ზრდასრულ ეგზემპლარებს კი ჟანგისფერი, ღია ჩალისფერი და წაბლისფერი აქვთ. ტყის თავგების შეფერილობა საქართველოში დაწვრილებით შესწავლილია შრომებში [12-14], სადაც ნაჩვენებია, რომ ტყის თავგის ასაკობრივი ჯგუფები შეფერილობის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მოზარდ ტყის თავგებს მუქი ნაცრისფერი ბეწვი აქვთ, რომელიც მთლიანობაში მოშავოდ აღიქმება. ამ დროს ისინი ძალიან ჰგვანან სახლის ზრდასრულ თავგებს.

ბოლო წლებში *Apodemus*-ის გვარის ტყის თავგების მკვლევარნი მკერდის ლაქას წამყვან როლს ანიჭებენ სახეობის განსაზღვრაში. ჩვენ მიერ დიდი მოცულობის მასალაზე დაწვრილებით შესწავლილია ლაქიანობის საკითხი საქართველოში გავრცელებულ ტყის თავგებში და შედარებულია ლიტერატურულ მონაცემებთან [13-15].

საქართველოში ტყის თავგებს ძირითადად გააჩნიათ ხაზოვანი, ოვალური წერტილოვანი, დიდი და პატარა სამკუთხედის, ჰალსტუხისებრი ფორმის ლაქა, ლაქის ეს ფორმები პოპულაციებში სხვადასხვა სიხშირით გვხვდება. მათი სიხშირე იცვლება როგორც ზონებისა და სარტყლების მიხედვით, ასევე ერთი და იგივე ზონის პოპულაციებშიც.

ბოლო წლებში მოაზრებულ მასალაში (ქვაზრელი, ანანური, კრწანისი და სხვა) ძირითადად გამოიკვეთა ულაქო $n=163$, უმნიშვნელო ხაზოვანი ლაქით $n=116$ და სამკუთხედის $n=44$ ფორმის მქონე ჯგუფები. სატყეო მეურნეობაში ულაქოა 62,5%, უმნიშვნელო ლაქა "იàçîê" გააჩნია 37,5%-ს.

გ. კუზნეცოვი *A. sylvaticus*-თვის გამოყოფს ლაქას გასწვრივი ზოლის (57,1%), სამკუთხედის (38,1%) და ოვალის (4,8%) ფორმის, ხოლო *A. microps*-თვის, თუ კი მას ლაქა გააჩნია, ოვალურ და ხაზოვან ფორმებს მიუთითებს.

ის რომ ლაქის ფორმა სახეობის განმსაზღვრელ ნიშანს არ წარმოადგენს აჩვენა მკერდზე ყვითელლაქიანი და ულაქო თავგების როტაციულმა ჰიბრიდიზაციამ, რომელიც ჩატარებული იყო 1996-1998 წლებში

ხერხემლიან ცხოველთა განყოფილებაში. მდებარე ჰქონდა მკერდზე სამკუთხედის ფორმის ლაქა, მამრი იყო ლაქის გარეშე. [13, 14]. შრომაში დაწვრილებით არის აღწერილი და გაანალიზებული შეჯვარებით მიღებული შედეგები. აქ ავლნიშნავთ მხოლოდ, რომ ერთი და იმავე მშობლებისაგან მიღებულ სხვადასხვა გენერაციის 20 ნაჯვარიდან ორს ჰქონდა ოვალური ფორმის ლაქა, ორს – მრგვალი წერტილოვანი, ერთს – ტოლფერდა და ერთს – მოგრძო, ანუ ჰალსტუხისებრი ფორმის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ნიშან-თვისება (ლაქის ფორმა, მოხაზულობა) პარაგენეტიკური ხასიათისაა და მისი ფენოტიპური წარმოჩინება უპირატესად დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე.

ბიოტოპის (მშრალი, თბილი და ნაკლებად დაჩრდილული) მიხედვით, *Apodemus microps*-ი უნდა ბინადრობდეს სამხრეთ საქართველოს ზეგანზე (IV ზონა), მაგრამ როგორც ამ ზონის შესწავლილი პოპულაციებიდან ჩანს (ცხრილი 2), აქ გავრცელებული ტყის თაგვები სხეულის, ყურის და უკანა ტერფის სიგრძით აღემატებიან *A. microps*-ს. ამავე დროს მათ კუდის სიგრძე სხეულის სიგრძეზე მეტი აქვთ და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ლაქიანობა პოპულაციებში 80% შეადგენს.

ამრიგად, საქართველოში გავრცელებული ტყის თაგვების მორფოლოგიური ნიშნების და მათი ინდექსების, სხეულის შეფერილობის, მკერდის ლაქის და ცხოველთა გავრცელების ბიოტოპის შესწავლა და ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ *Apodemus microps*-ი არ არსებობს საქართველოში იმ ნომინალური სახით, როგორც ის აღწერილია მისი აღმომჩენების ვ. კრატახვილისა და ბ. როსიცკის მიერ.

საქართველოში *Apodemus microps*-ის არსებობის საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად საჭიროა ტყის თაგვების შემდგომი შესწავლა დიაგნოსტიკის უახლესი მეთოდების გამოყენებით, რაც საშუალებას მოგვცემს მორფოლოგიურ ნიშნებთან ერთობლიობაში დავაზუსტოთ *Apodemus*-ის გვარის ტყის თაგვების სახეობრივი შედგენილობა საქართველოში.

Ä. Ä. Öëëíððèøâèëë, Äæ. İ. Ðàðèàíè

Ä ñâyçè ñ ðàñîðñòðàíàíèàì Apodemus microps á Äððçèè

Ðâçþíà

Íà ññííââ è àíàèèçà ïððòíèíâè÷âñèèð ïððçíàéíâ, èð èíââèñíâ, íèðàñèè èðàèà, äðóâííâí ÿýðíà è àèíðíà ðàñîðñòðàíàíèèè ÷âñííîð ïùøâé ðíâà *Apodemus microps* íâ ñòùâñòâòâð â Äððçèè è à ðíè ïñèíàèèèè òíðíâ, èàè íí ïñèñíâí Äæ. Èðàðàðâèèè è Ä. Ðñèèðñèè [8].

D. G. Tskipurishvili, J. P. Ratiani

On the Prevalence of Apodemus microps in Georgia

Summary

On the basis of the investigation and the analysis of the morphological characters, their indexes, body colour, chest spot and biotop of the genus *Apodemus* wood mice we may conclude that *Apodemus microps* does not exist in Georgia in the nominal form described by J. Kratakhvil and B. Rositsky [8].

ლიტერატურა

1. Øææíàñèèè È. Ä. Íðâââèèððâèè äðñçòíâ Çàèââèçüý. Õàèèèèè, 1962.
2. Äâðâùââèí Í. È. Ìèâèíèèððèèè Èââèèçà. Èñòððèè òíðèèðíâíàíèèè òâòíú. Ì., È. 1959.
3. Èàðèà Í. È. È âñððñò ï àèââññððèèè àèèèèèèèèè è æâèðñíðèèèè ïùøâé. – Çñè. æ. ð. 37, â. II. 1958.
4. Ñâèððèâíèí Í. Ä. Èâñííâ ïùøè Ñâââðííâí Èââèèçà è Ìðââèèèèèèèè. Ñâ. ÍÈÈ Çñè. ÌÃÕ èì. Ííèðíâñèíâí, 13, 1936.

5. Èíòð È. Ā. È èçó÷áíêð ðàóíú è ýéíéíáèè ãðúçóíá Èààèàçà è èð ýéðííàðàçèðíá. – Õð. Çíî. èí-ðà ĀÍ ĀÑÑÐ, ð. VIII/ 1948.
6. Āíðíóíá Í. Í., Āíñéíðíá Ā. Ā., Ìææáðèí Ñ. Ā., Èýíóííá Ā. Ā., Èáíáàòðíá Ā. Ñ. – Çíî. æ., '3, 1992.
7. Āíðíóíá Í. Í., Āíñéíðíá Ā. Ā., Ìææáðèí Ñ. Ā., Èýíóííá Ā. Ā. Āíêèàáú ĀÍ ĀÑÑÐ, ð. 309, '54, 1989.
8. Kratochvil J., Rosicky A. B. Āéíííèý è ðàèñíííèý ðíáà *Apodema* á ðáðíñéíáèèè. Folia zoologica et entomologica. Cislo 1., rocnik I. (XV.), 1952.
9. Ìááèèíá È. ß., Ðíññéèí Í. Õ. Ñèððáíàðèèè ìæéííèðèðèè ÑÑÑÐ. Ì., 1987.
10. Csaikl F., Engel W. and Schmidtke J. In the Biochemical Systematics of three *Apodmus* Species. Comp. Biochem. Physiol., vol. 65 B. pp. 411 to 414, 1980.
11. Èóçíáóíá Āð Āð – Ñá. Õáíáðèèè ðèðíáíúð ííóéýòèè. – Ì., Ìáóèà, 1998, ñ. 71-82.
12. Ìðáèèááñèàý È. Ā. Õèèòðèèèèèè Ā. Ā. Èñííáý íúðú á Āðóçèè. – Õáèèèèè, Ìáóíèáðááá, 1989.
13. რატიანი ჯ. ცქიფურიშვილი დ. ტყის თაგვის (*Apodemus sylvaticus*) გენეტიკისა და ტაქსონომიისათვის. – თბილისი, მეცნიერება და ტექნიკა, №1-3, 2000.
14. Ratiani J., Tskipurishvili D. The Use of Genetic Methods in the Genus *Apodemus* Wood Mouse Taxonomy. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, 161, N3, 2000.
15. Ñíèðíá Í. Ā. Āóíèí-Āðèíáñèèè È. Ā. Èóðñ ðáíðèè ááðíýðííñðè è ìððáíàðèè÷áñéíé ñðáðèèèèèè. Ì., 1965.

ჯ. რატიანი

**თბილსისსლნიან ცხოველთა სისხლის პლაზმის
ცილების ამინმჟავური შემცველობის თავისებურებაანი
ტაქსონომიური და ეკოლოგიური თვალსაზრისით**

შესწავლილ იქნა მსხვილი და წვრილი ძუძუმწოვრებისა და ფრინველების სისხლის პლაზმის ცილების ამინმჟავური შემცველობა. ნიმუშების მიღება და დამუშავება მოვანდინეთ საერთოდ აღიარებული და პრაქტიკაში დანერგილი მეთოდით [1]. ცალკეული ნიმუშების დამუშავების შედეგად მიღებული ჰიდროლიზატი გავაანალიზეთ ამინმჟავათა განმსაზღვრელი ანალიზატორის AAA T-339 საშუალებით. თავდაპირველად შესწავლილ იქნა ამიერკავკასიური გარეული ღორის 19 ეგზემპლარი, აღმოსავლეთევროპულის – 11, შუაზიურის – 3, ლანდრასის ჯიშის – 30, მსხვილი თეთრის – 30 და გარეული და შინაური ღორების ჰიბრიდების 30 ეგზემპლარი, სულ 123 ცხოველი. საკვლევ ობიექტად ყველა შემთხვევაში გამოყენებული იყო ზრდასრული ცხოველები. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრ. 1-ში. მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარეული ღორის სხვადასხვა ქვესახეობები და შინაური ღორის სხვადასხვა ჯიშები, სისხლის პლაზმის ცილაში გენეტიკურად დეტერმინირებული ამინმჟავური შემცველობის მაჩვენებლებით, ერთმანეთისაგან სტატის-ტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდებიან. აღნიშნულ ნიშანთვისებაზე, ანალოგიური მაჩვენებლებით ხასიათდებიან შინაური და გარეული ღორის ჰიბრიდებიც. ჩამოთვლილ ცხოველებს სისხლის პლაზმის ცილაში ამინმჟავების შემცველობის ერთნაირი კონცენტრაცია ახასიათებთ. ჩვენ მიერ შესწავლილი 17 ამინმჟავას შემცველობის მაჩვენებელი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში თითქმის იდენტურია. იქმნება შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ გარეული ღორის სხვადასხვა ქვესახეობებს და შინაური ღორის სხვადასხვა ჯიშებს ახასიათებთ სისხლის პლაზმის ცილაში ამინმჟავათა ერთნაირი შემცველობა და ეს ნიშან-თვისება მათთვის ზოგადი ხასიათისაა. გარეული ღორის ამიერკავკასიური, ევროპული, შუაზიური ქვესახეობები და შინაური ღორის ლანდრასისა და მსხვილი თეთრი ჯიშების ურთიერთმსგავსების ინდექსი, აღნიშნულ ნიშან-თვისებაზე, თითქმის ერთი ტოლია. ყოველ საცდელ ჯგუფს შორის ურთიერთ-მსგავსების ინდექსმა შეადგინა $r = 0,9385$ -დან $r = 0,9640$ -მდე. ამასთანავე დადგინდა, რომ გარეული და შინაური ღორის სისხლის პლაზმის ცილაში ყველაზე მაღალი შემცველობით ხასიათდება გლუტამინის (14,18–14,26 %) და ასპარაგინის მჟავა (11,03–11,27 %), ხოლო დაბალი კონცენტრაციით – მეთიონინი (1,00–1,08 %) და იზოლეიცინი (1,82–1,90 %).

ამ საკითხის ინტერესიდან გამომდინარე ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა სხვა ძუძუმწოვრებიც და ზოგადად ხმელეთის ხერხემლიანი ცხოველები. მიზანშეწონილად ვცანიტ შინაური და გარეული ღორების შემთხვევაში მიღებული შედეგების განზოგადება ტაქსონომიური თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სისხლის პლაზმის გენეტიკურად დეტერმინირებული ცილების ამინმჟავური შემცველობის განსაზღვრას და ამ ნიშან-თვისებაზე სხვადასხვა სახეობისა და პოპულაციების ინდივიდთა ურთიერთშედარებას სისტემატიკური პარამეტრების დადგენის თვალსაზრისით [2-6]. ამავე მიზნით ჩვენ მიერ თავდაპირველად შესწავლილ იქნა საქართველოში გავრცელებული საზოგადოებრივი მემინდვრიას *Microtus socialis* Pal. და ტყის თაგვის *Apodemus sylvaticus* სხვადასხვა პოპულაციები. სისხლის პლაზმის ცილაში ამინმჟავურ შემცველობაზე გამოკვლეულია 105 ცხოველი. მათ შორის: გორისა და მცხეთის რაიონების მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული საზოგადოებრივი მემინდვრიას 24 ეგზემპლარი; ტყის თაგვის ქვახვრელის (გორის რაიონი) პოპულაცია – 23 ეგზემპლარი; რუსთავის – 26, ახალდაბის (ბორჯომის რაიონი) – 18, წოდორეთის (მცხეთის რაიონი) – 14 ეგზემპლარი. ხოლო შემდეგ შევისწავლეთ ხმელეთის ხერხემლიანი ცხოველთა ისეთი წარმომადგენლები, როგორცაა ფრინველები და მსხვილი ძუძუმწოვრები.

მეცნიერული თვალსაზრისით სათანადო ყურადღებას იმსახურებს ამიერკავკასიაში გავრცელებული ტყის თაგვის – *Apodemus sylvaticus* ჩვეულებრივი და ყელზე ყვითელლაქიანი ინდივიდები. ეს ცხოველები თანაარსებობენ ერთ და იმავე ადგილსამყოფელში, მაგრამ აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფენოტიპურად. ყვითელლაქიანობა გამოიხატება იმაში, რომ ამ ცხოველებს ყელისა და მკერდის მიდამოში, აქვთ ბალნის სხვადასხვა ინტენსივობისა და ფორმის ყვითელი შეფერილობა, მაგრამ არა ყვითელი ყელი, როგორც ეს აქვთ ტყის თაგვის ყვითელყელიან *Apodemus flavicollis*-ს. ყვითელლაქიანობის გარდა განსხვავება შეიმჩნევა სხეულის აღნაგობაშიც. ლიტერატურაში, რომელიც ეხება ძუძუმწოვარ ცხოველთა სისტემატიკას [7-8] – ამ ცხოველების შესახებ არსებობს მკვლევართა სხვადასხვა აზრი. მეცნიერთა ერთი ნაწილი მათ ერთ სახეობას – *Apodemus silvaticus*-ს აკუთვნებს, ხოლო მეორე ნაწილი – სხვადასხვას, ან ამავე სახეობის სხვადასხვა ქვესახეობას. ს. ოგნევი [9] კავკასიაში ასახელებს ტყის თაგვის ერთი სახეობის გავრცელებას ორი ქვესახეობით *Sylvaemus sylvaticus fulvipectus* Ognev და *S.s. ciscaucasicus* Ognev, ხოლო პ. სვირიდენკო [10] ცნობდა აქ სამი სახეობის *S.s. ciscaucasicus*, *S. fulvipectus* და *S. flavicollis* Melchior-ის არსებობას. ამავე აზრს იზიარებდა ნ. ბობრინსკი და ბ. კუზნეცოვი [11]. ა. არგროპულო [12] აღიარებდა კავკასიის ფაუნაში ტყის თაგვის ორი სახეობის *S. silvaticus* და *S. flavicollis*-ის არსებობას. ი. იოფს [13], ისე როგორც პ. სვირიდენკოს მიანდა, რომ კავკასიაში ტყის თაგვის სამი სახეობაა გავრცელებული და ცნობდა მათში გარდამავალი ფორმების არსებობას. ნ. ვერეშაგინი [14] აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიაში გავრცელებულია ტყის თაგვის ორი სახეობა: ყვითელლაქიანი – *Apodemus fulvipectus* და ჩვეულებრივი – *Apodemus sylvaticus*. მღრღნელ ცხოველთა საკმაოდ დიდი ფაუნისტიკური მასალის, რომლის ძირითად ნაწილს შეადგენს საქართველოში გავრცელებული ტყის თაგვები, შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მ. შიდლოვსკი [15-18] ასახელებდა ტყის თაგვის მხოლოდ ერთ სახეობას – *S. sylvaticus* და მიუთითებდა მის მეტისმეტად დიდ მორფოლოგიურ ცვალებადობაზე. ნ. ვორონცოვი [19-20] ამიერკავკასიის ფაუნაში ტყის თაგვის ჯერ 5 სახეობის, ხოლო შემდეგ 4 სახეობის არსებობაზე აკეთებს დასკვნას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ტაქსონომიური თვალსაზრისით, საინტერესოდ ჩავთვალეთ საქართველოში გავრცელებული ტყის თაგვების შესწავლა სისხლის პლაზმის გენეტიკურად დეტერმინირებული ცილების ამინმჟავურ პარამეტრებზე. ტყის თაგვის ჩვეულებრივი და ყელზე ყვითელლაქიანი ინდივიდების ურთიერთშედარების მიზნით გამოვიკვლიეთ 47 ჩვეულებრივი და 34 ყელზე ყვითელლაქიანი ტყის თაგვი. ისე, როგორც გარეული და შინაური ღორების შემთხვევაში, აქაც საკვლევ ობიექტად ყველგან ვიყენებდით ზრდასრულ და შედარებით ჯანმრთელ ცხოველებს. ტყის თაგვის სხვადასხვა პოპულაციისა და საზოგადოებრივი მემინდვრიას სისხლის პლაზმის ცილების ამინმჟავური შემცველობის შესწავლის შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 2-ში. როდესაც მოცემული ნიშან-თვისების მიხედვით ერთმანეთს ვადარებდით მდებარეებსა და მამრებს, მათ შორის სარწმუნო სხვაობა ამ პარამეტრით არ აღინიშნებოდა, ამიტომ ცხრილში მოყვანილია მათი საერთო მაჩვენებელი. როგორც ცხრილიდან ჩანს, ტყის თაგვის სხვადასხვა პოპულაციები და საზოგადოებრივი მემინდვრია სისხლის პლაზმის ცილაში ამინმჟავური შემცველობით თითქმის იდენტურია და სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იქმნება შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ მღრღნელებს ახასიათებთ სისხლის პლაზმის ამინმჟავათა ერთნაირი შემცველობა და ეს ნიშანთვისება მათთვის ერთნაირია. ტყის თაგვის სხვადასხვა პოპულაციების ერთმანეთთან და მათი საზოგადოებრივ მემინდვრიასთან ურთიერთშედარებისას, აღნიშნულ ნიშანთვისებაზე ურთიერთმსგავსების ინდექსმა შეადგინა: $r = 0,8903$ -დან $0,9450$ -მდე, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ამასთანავე დადგინდა, რომ თავისებური მღრღნელების სისხლის პლაზმის ცილაში ყველაზე მაღალი შემცველობით ხასიათდება გლუტამინის (შესაბამისად: 14,13; 13,94; 14,46; 12,68; 13,33 %%) და ასპარაგინის მჟავა (შესაბამისად: 11,14; 10,64; 11,13; 11,47; 10,52 %%), ხოლო დაბალი კონცენტრაციით – იზოლეიკინი (შესაბამისად: 1,30; 1,47; 1,33; 2,47; 1,71 %%) და მეთიონინი (შესაბამისად: 1,85; 1,61; 2,10; 2,32; 1,60 %%).

ტყის თავის ქვახვრელისა (გორის რაიონი) და ახალდაბის (ბორჯომის რაიონი) პოპულაციებისათვის დამახასიათებელია ეკოლოგიურად შედარებით სუფთა ადგილსამყოფელი, ხოლო ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე მოპოვებული ინდივიდების (რუსთავის პოპულაცია) ადგილსამყოფელი, გასაგები მიზეზების გამო, ძლიერ დაბინძურებულია. რაც შეეხება წოდორეთის (მცხეთის რაიონი) პოპულაციას, მისი წარმომადგენელი ინდივიდები მოპოვებულ იქნა მათი ადგილსამყოფელი ტერიტორიის პესტიციდური პრეპარატებით წინასწარი დამუშავების 2 თვის შემდეგ. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულმა გარემომებამ შედეგშიც კპოვა ასახვა. კერძოდ, სისხლის პლაზმის ცილაში ჩვენ მიერ განსაზღვრული და შესწავლილი 17 ამინომჟავიდან შეიცვალა ამინომჟავა არგინინის კონცენტრაციის მაჩვენებელი. ამინომჟავა არგინინის კონცენტრაციის მაჩვენებლით ქვახვრელისა (3,26 %) და ახალდაბის (3,65 %) პოპულაციები თითქმის ერთნაირია. განსხვავებული, მაგრამ თითქმის ერთნაირი მაჩვენებლით ხასიათდებიან რუსთავისა (5,45 %) და წოდორეთის (5,23 %) პოპულაციები. პირველ ორთან შედარებით ამინომჟავა არგინინის კონცენტრაციის მაჩვენებელი 1,5-ჯერ და მეტადაა გაზრდილი. ამინომჟავა არგინინის კონცენტრაციის მომატების მსგავსი შემთხვევა შესწავლილია რძეში. კერძოდ, ძროხის საკვებ რაციონში კობალტის შემცველობის ხელოვნურად გაზრდამ, ყოველ 1კგ მშრალ ნივთიერებაზე 1,50 მგრ-ით, გამოიწვია რძეში არგინინის შემცველობის 12,5 %-ით გაზრდა, საკონტროლოსთან შედარებით [21]. ამრიგად სავარაუდოა, რომ გარემოს გაჭუჭყიანების ფონი უშუალო ზემოქმედებას ახდენს ცხოველთა საკვებზე და ზრდის სისხლის პლაზმის ცილაში ამინომჟავა არგინინის შემცველობას. წოდორეთის ტერიტორიის “ხელოვნურმა” გაბინძურებამ გამოიწვია არა მარტო ამინომჟავა არგინინის კონცენტრაციის გაზრდა, არამედ შესამჩნევად გაზარდა სისხლის პლაზმის ცილაში ისეთი ამინომჟავების შემცველობაც, როგორცაა სერინი (8,50 %) და გლიცინი (5,18 %) და გამოიწვია ამინომჟავა ფენილალანინის (4,24 %) შემცირებაც. წოდორეთში მოპოვებული ცხოველების შინაგანი ორგანოების შესწავლით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ჟ. ფიდლერმა დაადგინა მათ ღვიძლში ქლორის კონცენტრაციის რამდენადმე მომატება.

ტყის თავის ჩვეულებრივი და ყელზე ყვითელლაქიანი ინდივიდების სისხლის პლაზმის ამინომჟავური შემცველობის შესწავლისას დადგინდა, რომ ისინი სისხლის პლაზმის ცილაში ჩვიდმეტივე ამინომჟავური კონცენტრაციით თითქმის ერთნაირი არიან. არცერთი ამინომჟავური პარამეტრით ტყის თავის ჩვეულებრივი და ყელზე ყვითელლაქიანი ინდივიდები ერთმანეთისაგან სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდებიან. ასევე ემსგავსებიან ისინი სულ სხვა სახეობისა და გვარის წარმომადგენელს – საზოგადოებრივ მემინდვრიას. როგორც ცხრილი 2-დან ჩანს თავისებური მღრღნელების სისხლის პლაზმის ცილაში ამინომჟავათა შემცველობა ერთნაირია და იდენტური ხასიათისაა. ამავე დროს, ადგილსამყოფელი ტერიტორიის გაჭუჭყიანების დონე კორელაციაშია ამინომჟავა არგინინთან და იწვევს აღნიშნულ ცხოველთა სისხლის პლაზმის ცილაში ამინომჟავას კონცენტრაციის რამდენადმე გაზრდას.

ამრიგად შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ტაქსონომიური თვალსაზრისით, სახეობისა და გვარის დონეზე, მაგალითად თავისებურ მღრღნელებში, სისხლის პლაზმის ცილაში ამინომჟავათა შემცველობა ერთნაირია და ზოგადი ხასიათისაა. ბუნებრივია, ამან თავისთავად დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა უფრო მაღალ ტაქსონებში. ამიტომ ჩვენი კვლევის შემდეგი მიზანი გახდა შეგვესწავლა უფრო მაღალ სისტემატიკურ ერთეულებში გაერთიანებულ ხმელეთის ზოგიერთ ხერხემლიან ცხოველთა (ფრინველებისა და მსხვილი ძუძუმწოვრების) სისხლის პლაზმის ცილების ამინომჟავური შემცველობა და მოგვეხდინა მათი ურთიერთშედარება.

ამ მიზნით შესწავლილ იქნა საქართველოში გავრცელებული მტრედი ნაცარა *Columba livia* – 14 ეგზემპლარი, შინაური ქათამი (ლეგჰორნის ჯიშის) – 30, ტყის თავი *Apodemus sylvaticus* – 41, საზოგადოებრივი მემინდვრია *Microtus socialis* – 24, გარეული ღორი *Sus scrofa* – 3, შინაური ღორი (მსხვილი თეთრი ჯიშის) – 30, ძროხა (კავკასიური წაბლა ჯიშის) – 30 ეგზემპლარი. სულ შესწავლილ იქნა 172 ცხოველი, მათ შორის: 44 ფრინველი და 128 ძუძუმწოვარი.

ნაცარა მტრედის, ქათმის, ტყის თავის, საზოგადოებრივი მემინდვრიას, გარეული ღორის, შინაური ღორის და ძროხის სისხლის პლაზმის ცილების ამინომჟავური შემცველობის შესწავლის შედეგები მოყვანილია ცხრილ 3-ში. როგორც ცხრილიდან ჩანს მტრედი ნაცარა და ლეგჰორნის ჯიშის ქათამი სისხლის პლაზმის ცილაში ცალკეული ამინომჟავური შემცველობით თითქმის იდენტურია და სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასევე, ანალოგიური მაჩვენებლებით ხასიათდებიან წვრილი

ცხრილი 2

ტყის თაგვის და საზოგადოებრივი მემინდვრის სისხლის პლაზმის ცილების ამინოჰაქური შემცველობა (%%).

ამინოჰაქა	ტყის თაგვი <i>Apodemus sylvaticus</i>				საზოგადოებრივი მემინდვრის <i>Microtus socialis pal.</i> n=24
	პოპულაცია				
	ქვასერელის (გორის რაიონი) n=23	რუსთავის n=26	ახალდაბის (ბორჯომის რაიონი) n=18	წოდორეთის (მცხეთის რაიონი) n=24	
ასპარაგინის მჟავა	11,04	10,64	11,13	11,47	10,52
ტრეონინი	3,12	3,41	3,36	3,85	3,56
სერინი	5,68	5,90	6,03	8,50	6,73
გლუტამინის მჟავა	14,13	13,94	14,46	12,68	13,33
პროლინი	5,87	4,92	3,59	4,30	7,91
გლიცინი	3,21	3,73	3,24	5,18	3,07
ალანინი	7,01	5,35	6,68	5,95	6,62
1/2 ცისტინი	2,02	1,93	2,00	1,60	2,25
ვალინი	2,42	3,12	2,69	2,45	3,30
მეთიონინი	1,85	1,61	2,10	2,32	1,60
იზოლუცინი	1,30	1,47	1,33	2,47	1,71
ლუცინი	7,65	7,81	9,13	9,20	8,38
თიროზინი	6,22	5,42	5,09	5,16	5,60
ფენილალანინი	7,41	7,65	7,06	4,42	5,77
ჰისტიდინი	9,57	8,53	9,68	9,04	7,00
ლიზინი	8,14	9,12	8,78	6,68	8,36
არგინინი	3,26	5,45	3,65	5,23	4,20

თ ხერხემლიან ცხოველთა სისხლის პლასმის ცილების აბინომაკური შემცველობა (%).

რედი	ქათამი	ტყის თაგვი	საზოგადოებრივი მემინდვროს	გარეული ღორი	შინაური ღორი	ძროხა
=14	n=30	n=41	n=34	n=3	n=30	n=30
,78	4,01	7,01	6,62	4,47	4,57	3,87
,40	6,94	3,26	4,20	4,19	4,10	3,67
0,43	12,00	11,14	10,52	11,19	11,03	11,27
,07	4,20	3,21	3,07	3,89	4,00	2,58
3,11	14,18	14,13	13,33	14,18	14,14	12,97
,11	2,16	2,42	3,30	4,12	4,14	4,49
,19	7,74	6,22	5,60	9,06	9,02	10,46
,48	1,67	1,30	1,71	1,83	1,90	1,62
,76	6,46	7,65	8,38	8,40	8,42	7,87
,04	6,98	8,14	8,36	8,81	8,85	8,68
,54	2,46	1,85	1,60	1,06	1,05	1,08
,23	4,12	5,87	7,91	4,53	4,50	4,54
,84	6,33	5,68	6,73	5,30	5,33	7,35
,09	3,35	3,12	3,56	4,50	4,60	5,75
,25	6,61	7,41	5,86	4,21	4,22	3,65
,35	1,44	2,02	2,25	2,60	2,55	3,94
0,43	9,35	9,57	7,00	7,66	7,58	6,21

ბუბუქორები (ტყის თავი და საზოგადოებრივი მემინდვრია), მსხვილი ბუბუქორები (გარეული და შინაური ღორი, ძროხა).

სისხლის პლაზმის გენეტიკურად დეტერმინირებულ ცილაში შეუცვლელი ამინოჰაქვების (არგინინი, ვალინი, იზოლეუცინი, ლეიცილი, ლიზინი, მეთიონინი, ტრეონინი, ფენილალანინი, ჰისტიდინი) კონცენტრაციამ შეადგინა: ნაცარა მტრედში – 44,00 %; ლეგპორნის ჯიშის ქათამში – 45,98 %; ტყის თავში – 44,72 %; საზოგადოებრივ მემინდვრიაში – 43,97 %; გარეულ ღორში – 44,78 %; შინაურ ღორში – 44,86 %; ძროხაში – 43,02 %. როგორც ჩანს, ჩამოთვლილ ცხოველებს ახასიათებთ სისხლის პლაზმის ცილაში შეუცვლელი ამინოჰაქვების საერთო შემცველობის ერთნაირი კონცენტრაცია. შედივე სახის ცხოველების ერთმანეთთან ურთიერთშედარებისას, 17 ამინოჰაქვური შემცველობით, ურთიერთმსგავსების ინდექსმა შეადგინა $r = 0,8133$ -დან $0,9450$ -მდე, რაც მაღალი მაჩვენებელია. ჩვენ მიერ შესწავლილი ფრინველებისა და ბუბუქორების სისხლის პლაზმის ცილაში ამინოჰაქვათაგან ყველაზე მაღალი შემცველობით ხასიათდება გლუტამინის (12,97-14,18 %%) და ასპარაგინის მჟავა (10,43-12,00 %%), ხოლო დაბალი კონცენტრაციით იზოლეუცინი (1,30-1,90 %%).

ცნობილია, რომ ცილას თავისებურება მის ფუნქციასთან დაკავშირებით დამოკიდებულია ამინოჰაქვათა კონცენტრაციასთან ერთად, თვით ცილას მოლეკულაში ამინოჰაქვების თანმიმდევრობაზე. თუმცა ბუბუქორებში ცილას მოლეკულაში ამინოჰაქვათა თანმიმდევრობაზეც შეიმჩნევა გარკვეული ჰომოლოგიურობა. ასე მაგალითად, ადამიანისა და ზღვის გოჭის ინტეგრინის β-სუბერთეულის შედარებით ანალიზით დადგენილია მათი ჰომოლოგიურობის მაღალი მაჩვენებელი (94 %) და ერთნაირი კონსერვატიული თანმიმდევრობის არსებობა (Shepperdi Dean, a. oth., 1990). ეს საფუძველს გვაძლევს ანალოგიურად ავსნათ ფრინველებსა და ბუბუქორებში სისხლის პლაზმის ცილაში ამინოჰაქვათა უმეტესი ნაწილის კონცენტრაციის თითქმის იდენტური მაჩვენებელი.

ამასთანავე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცხრილ 3-ში დასახელებული ცხოველების შესაბამისად, მათი სისხლის პლაზმის ცილაში ზოგიერთი ამინოჰაქვას კონცენტრაციის მატებისა და კლებადობის ტენდენცია. ასე მაგალითად, მტრედის სისხლის პლაზმის ცილაში ამინოჰაქვა ვალინის კონცენტრაციამ შეადგინა 2,11 %; ქათმისაში – 2,16 %; ტყის თავში – 2,42 %; საზოგადოებრივ მემინდვრიაში – 3,30 %; გარეულ ღორში – 4,12 %; შინაურ ღორში – 4,14 %; ძროხაში – 4,49 %. აშკარაა ის გარემოება, რომ სისხლის პლაზმის ცილაში ამინოჰაქვა ვალინის შემცველობა მსხვილ ბუბუქორარ ცხოველებში ორჯერ მეტია, ვიდრე ჩვენ მიერ შესწავლილ ფრინველებში. კონცენტრაციის ზრდის ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება ამინოჰაქვა ტრეონინი (შესაბამისად, 3,09 %-დან 5,75 %-მდე); თიროზინი (შესაბამისად, 7,19 %-დან 10,46 %-მდე. ამ პარამეტრზე წვრილ ბუბუქორებს ახასიათებთ უფრო დაბალი მაჩვენებელი, ვიდრე ფრინველებს); 1/2 ცისტეინი (შესაბამისად, 1,35 %-დან 3,94 %-მდე). ანალოგიურად, ცხრილში დასახელებული ცხოველების შესაბამისად, შეიმჩნევა სისხლის პლაზმის ცილაში ამინოჰაქვა ჰისტიდინის კლებადობის ტენდენცია (10,43 %-დან 6,21 %-მდე). ყურადღებას იმსახურებს გოგირდშემცველი ამინოჰაქვა მეთიონინი, რომლის შემცველობა ჩვენ მიერ შესწავლილი ფრინველის – მტრედის სისხლის პლაზმის ცილაში (3,54 %) სამჯერ მეტია, ვიდრე მსხვილ ბუბუქორებში (1,05 %-1,08 %). იქნება შთაბეჭდილება აღნიშნული გოგირდშემცველი ამინოჰაქვას რამდენადმე გაზრდილი კონცენტრაცია, ბუბუქორებთან შედარებით თითქოს დაკავშირებული უნდა იყოს ფრინველის სპეციფიკურ თავისებურებასთან (ვთქვათ, კვერცხმდებლობასთან ან ფრენის შეგუებულობასთან). მაგრამ, ეს რომ ასე არ არის ამაზე მიუთითებს მეორე გოგირდშემცველი ამინოჰაქვა 1/2 ცისტეინის კონცენტრაციის შესწავლის შედეგები. აქ მსგავს მოვლენას არა აქვს ადგილი. პირიქით მისმა კონცენტრაციამ მტრედის სისხლის პლაზმის ცილაში შეადგინა 1,35 %; ქათამში – 1,44 წვრილ ბუბუქორებში 2,02-2,25 %%; ხოლო მსხვილ ბუბუქორებში 2,60-3,94 %%.

ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ შედარებით დაბალ ტაქსონომიურ ერთეულებში (პოპულაცია, ქვესახეობა, სახეობა, გვარი) გაერთიანებულ ხერხემლიან ცხოველთა ჯგუფებს შორის, სისხლის პლაზმის ცილაში ამინოჰაქვათა კონცენტრაციის მიხედვით, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ შეიმჩნევა. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი ორგანიზმების სისხლის პლაზმის ცილაში ამინოჰაქვური კონცენტრაცია, როგორც ნიშან-თვისება ფილოგენეტიკურად მდგრადი და კონსერვატიულია. აღნიშნულ ნიშან-თვისებაზე განსხვავება ვლინდება მაღალ ტაქსონომიურ ერთეულებში (ოჯახი, კლასი) გაერთიანებულ ჯგუფებს შორის. ფრინველებიდან მსხვილ ბუბუქორებამდე აღინიშნება ისეთი შეუცვლელი ამინოჰაქვების კონცენტრაციის თანმიმდევრული ზრდის ტენდენცია, როგორცაა ვალინი, ტრეონინი და გოგირდშემცველი ამინოჰაქვა 1/2 ცისტეინი და პირიქით, აშკარაა შეუცვლელი ამინოჰაქვა ჰისტიდინისა და გოგირდშემცველი ამინოჰაქვა მეთიონინის კლებადობის ტენდენცია.

ÄÆ.Ï. ÐÀÒÈÀÍÈ

Íñíaáííñòè àìèííèèñèíðííáí ñíñòààà ááæéíá
íèàçíú èðíàè ðàííèèðííáíúð æèáíðíúð ñ ðí÷èè
çðáíèý ðàèñíííèè è ýéíííèè

Ð Á Ç Þ Ì Á

Èçó÷áíèá ðàííèèðííáíúð æèáíðíúð (íðèø è íèáéííèðàðùèø) ííèàçàéí, ÷ðí ñ ðàèñíííèè÷áñéíé ðí÷èè çðáíèý íà áèáíáíí è ðíáíáíí óðíáíá á ááæèàø íèàçíú èðíàè àìèííèèñèíðííá ñíááðæáíèá èááíðè÷íí. Ýðíð íðèçíáè ðèéíáíáðè÷áñèè ñðíáè è éííñáðáàðèááí. Íí ááíííð íðèçíáèø ðàçèè÷èý íðíýáèýðòñý èèøú á áðóííàð áúñíéíáí ðàèñíííèè÷áñéíáí ðáíáà (ñáíáèñðáí, èèáññ). Á ðí æá áðáíý áíèàçáí ÷ðí óðíáíú çáàðýçíáííñòè íáñðííáèðàíèý íàðíáèðñý á éíððáèýðèè ñ àìèííèèñèíðííé áðáèíèíí è áúçúáááð ííáúøáíèá áá éííóáíððàøèè á íèàçíá èðíàè æèáíðíúð.

J. P. Ratiani

Peculiarities of aminoacid content of the Warm-blooded Animals Blood Plasma Protein from the Taxonomic and Ecologic Point of View

SUMMARY

The warm-blooded animals (birds and mammals) studies showed that the aminoacid content in the blood plasma protein is identical on the specific and genetic levels from the taxonomic point of view. This sign is phylogenetically stable and conservative. Distinctions are revealed only in a high taxonomic rank (family, class). According to this sign at the same time it is proved that the level of inhabitant soiling is in correlation with aminoacid arginine provoking the rise of animals blood plasma concentration.

ლიტერატურა

1. Íñðá Ñ., Còàèí Á.Á. Íàðíá Ýíçèííè. 6, 1963, 819.
2. Áèøíýéíá Ñ.È., Èáááíðííáñèèé Ñ.Á., Æàðñèáý Ñ.È., Íàðéíá Á.È. Cíááðæáíèá ñáíáíáíúð àìèííèèñèíð è ýèáèððíèèðíá á ýðèððíèèðàð è íèàçíá èðíáè éíðíá á íñèáðíáíáíé íàðéíá è ðàçáàð èàèðàøèè èàè ðáñð íðíáøèèèáííñòè. Æ. “Ñáèóñéíðíçýéñðááííáý áèíèíáèý”, ðíí XIII, 6, 1978.
3. Õðèñðíáà È.Í. Ááæéíáúé è àìèííèèñèíðííé ñíñòàà ñúáíðíèèè èðíàè ó çáíðíáúð è áíèúíúð ááñððíýíðáðéíèèðíí ðáèýð. Æ. “Ñáèóñéíðíçýéñðááííáý áèíèíáèý”, ðíí XII, 1 6, 1977.
4. Õáàæèááà Ì.À., Àðíáðíá È.Ç. Áíçðáñðíúá íñíaáííñòè ááæéíáíáí è àìèííèèñèíðííáí ñíñòààà èðíàè è íúøá÷ííé ðèáíè ó ááæúð øèðíéíáðóáíúð è óçááèñèèð áðííçíáúð èíáðøàð. Æ. “Ñáèóñéíðíçýéñðááííáý áèíèíáèý”, 1 6, 918, 1980.
5. Èááíáðè Ì.Ç., Èéíñ Þ.Ñ., ×àðèèí Á.Á. è áð. Àìèííèèñèíðííé ñíñòàà è íáíðèáíúá èàððú áèúáóíèííá ííèí÷íé æáèççè è ñèáíðíèèè èðíàè èàèðèðóðùèø è íáèáèðèðóðùèø éíðíá. Óéð. áéíðè. æóðí., 1983, 5-1. 122-126.
6. Íññáðà Á. Èááííáà Ñ. Ñíááðæáíèá àìèííèèñèíð á ðèíðíá áááíáàøàðèíáðñðííé èèøèè ííèíáíýèà ñáèíáé íðè ðàçèè÷ííí éíèè÷áñðáá ááæèà è íáàè á ðàøèííá. Æ. “Ñáèóñéíðíçýéñðááííáý áèíèíáèý”, 1 3, 51, 1988.
7. Íááèéíá È.È., Ðíññíèèí Í.È. Ñèñðáíáðèèà íèáéííèðàðùèø ÑÑÑÐ. Èçá-áí Íñèíáñéíáí óíèááðñèðàðà, 1987.
8. Íðáèèááñèáý È.Á., Õèèíðèèèèè Á.Á. Èáííáý íúøú á Áðóçèè. -Õáèèèèè, Íáóíèáðááà, 1989.
9. Íáíáà Ñ.È. Áðúçóíú Ñáááðííáí Èááèàçá. Ðíñðíá - Á., 1924.

10. N̄aēðeaāīēī Ī.Ā. Ēānīúā iúøē N̄āāāðīīāī Ēāāēāçà è Īðāāēāēāçy. N̄ā. ĪÈÈ Çīē. ĪĀÓ èì. Īēðīānēīāī. ¹ 3, 1936.
11. Áīāðēīnēēē Ī.Ā., Ēóçīāōīā Á.Ā., Ēóçyēēī Ā.Ī. Īðāāāēðāēū iēāēīrēðāpūēð ÑÑÑÐ. Çīā. Īāōēā, 1944, 440.
12. Āðāēðīrōēī Ā.Ē. Ōāōīā ÑÑÑÐ. Īēāēīrēðāpūēā, ò. III, ā. 5. 1940.
13. Ēīðò Ē.Ā. Ē èçó÷āīēð òāōīú è ýēīēīāēē āðúçōīā Ēāāēāçà è èð ýēðīrāðāçēðīā. Òð. Çīē. Ēī-ðā ĀĪ ĀÑÑÐ, ò. VIII, 1948.
14. Āāðāøāāēī Ī.Ē. Īēāēīrāðāpūēā Ēāāēāçà. Ēñðīðēy òīðīēðīāāīēy òāōīú. Ī. Ē. 1959.
15. Øēāēīānēēē Ī.Ā. Āðēçōīú Āāæāðēē. Òð. Ēī-ðā Çīē. ĀĪ ĀÑÑÐ, ò. VIII, 1940.
16. Øēāēīānēēē Ī.Ā. Āðēçōīú Āððāçēē. Òð. Ēī-ðā Çīē. ĀĪ ĀÑÑÐ, ò. IX, 1950.
17. Øēāēīānēēē Ī.Ā. Āðēçōīú Þāī-Īñāðēē. Òð. Ēī-ðā Çīē. ĀĪ ĀÑÑÐ, ò. X, 1951.
18. Øēāēīānēēē Ī.Ā. Īðāāāēðāēū Āðēçōīā Çāēāāēāçy. Ēçā. ĀĪ ĀÑÑÐ, Ōāēēēñē, 1962.
19. Āīðīrōīā Ī.Ī., Īāæāðēī Ñ.Ā., Áīānēīðīā Ā.Ā., Ēyīrōīāā Ā.Ā. Āīēēāū ĀĪ ĀÑÑÐ, ò. 309 ¹ 5, 1989.
20. Āīðīrōīā Ī.Ī., Áīānēīðīā Ā.Ā., Īāæāðēī Ñ.Ā., Ēyīrōīāā Ā.Ā., Ēāīāāōðīā Ā.Ñ. Çīē. æ. ¹ 3, 1992.
21. Ēēñāīēī Ā.Ō. Ñ.-ð. Áēīē., ¹ 4, 1991.

À. Á. Āðāāóēē

**ÑĪĀÐĀĪĀĪĪĀ ÐĀÑĪÐĪÑÒÐĀĪĀĪĒĀ È ÑĪÑÒĪΒĪĒĀ
×ĒÑĒĀĪĪĪÑÒÈ ÄĒĒÈŌ ĒĪÛŌĪÛŌ ĀÐÓÇÈÈ**

Çà īīñēāāīēā āāāāøāðū ēāð, ðāñīðīñððāīāīēā ā Āðóçēē īðīðīē÷ēā ēīrūðīúā īīāāāðāēēñū ēðāēīā īāāāðēāīīñō āīçāāēñðāēð (ēāē īðyīīñō, òāē è ēīñāāīīñō) ñī ñðīðīúā āāyðāēuīīñðē ÷āēīāāēā.

Çà øēāçāīīúē īāðēīā īā rēīuāēē ñāuøā āāðð ìēēēēīīā āāēðāðīā òāīāēē āuēī ñīçāāī 58 īðīððīçyēñðā, çāēāçīēēīā. Ēç īēð 31 òīçyēñðāī ñ ñīððāāðñðāðpūēìē īīāuāīēyīē è īāñēóæēāpūēì īāðñīīāēī. Īā ýðīē rēīuāēē ā 1970-1972 ā.ā. īāñ÷èðūāāēīñū: īēāīāē 3700 āīēīā, ēāāāīā 11000, ēīñōēū 25000, ñāðī 29000, òððīā 12500 [4,9]. Ē 1983 āīāð īīēāçāðāēē īīāīēīāuū āēēēð ēīrūðīúð çīā÷èðāēuīī ñīēçēēēñū: īēāīāē – āī 1750 āīēīā, ēāāāīā – 9000, ēīñōēū – 1500[1], ñāðī – 14500, òððīā – 8500 [8].

Īā÷ēīāy ñ 1990 āīāā, īðīðīē÷uē òīçyēñðāā Āðóçēē īīāāāðāēēñū īēīñō ðāçīðāīēð. Áuēē òīðāçāīāīú āāāðñēāy ñēóæāā è īāðāē÷īúā īðīðīē÷uē ēīēēāēðēāū. Ēèðāīçēīīāy ñēñðāīā īðīðū çā īðāāāēāìē òīçyēñðā è çāēāçīēēīā īāēāēēā āðāēīūāðñēóð āāyðāēuīīñðū. Īāāīñīēīēīúē òðīī īīāīēīāuð āēēēð ēīrūðīúð īāīāñēē īāðīrēðyðēy, ñāyçāīīúā ñ āīāāðāīēāī ā īðāēðēēð āðāāīīāī è ēīāīīāī īðāāñðāāēāīēy ī ðīēē āīēēīā – āçyðēā īīñēāāīēð īīā īððāīó è ò÷ðāæāāīēā òððāðā (400 ēāðē) çā īāīīāī òāēðīāī āīēēā.

Ā īāñðīyūāā āðāīy āēēēā ēīrūðīúā (çā èñēēð÷āīēāī ēīñōēē) ñīððāīēēēñū ēèøū ā īðēāðāīē÷īúō īāēāñðyð, āāā ó īēð īðāēðē÷āñēē īā īñðāēīñū øāīñīā īā āūæāāāīēā.

Īīēāāūā èññēāāīāāīēy ñ øāēuð èçó÷āīēy ðāñīðīñððāīāīēy è ÷ēñēāīīñðē āēēēð īðīðīē÷uēð ēīrūðīúð Āðóçēē, āāðīð ýðēð ñððīē, īā÷ēīāy āū, ñ 1956 āīāā, īðīāīāēē īī ēēīēē "Īðīðñīðçā", ā ā āēēuīāēøāī ā ñīððāāðñðāēē ñ īāó÷īē ðāīāðēēīē Ēīñðēðððā çīīēīāēē ĀĪ Āðóçēē. Ēññēāāīāāīēāī āuēē īðāā÷āīú īðāēðē÷āñēē āñā çīúð ðāñīrōāēēēē.

Āēēēē ēāāāī (Sus scrofa attila Thomas) ā īāāāē, ēīī īðīøēīī çāīēīāē rēīuāāū ā āāā ìēēēēīā āāēðāðīā, ēāē ā īīēīāīūð òāē è ā āīðīúð rēīāīīñīūð ēāñāð (50-2000 ì īāā òð.ì.), ðāæā īðēāāðēāāyñū ñðøēð ñðāīrūð īāñðīñðāē è ēāīāīēñðūð ò÷āñðēīā. Øēīē÷īū īāñðīāēðāīēāī ēāāāīā ñēāāðāð ñ÷èðāðū īāīðīēāçīúā, òðāāēīúā ā òāēæā òāīāī-āðāāīāūā ēāñā.

Ñ øāēuð āīēāā ēīðāīñēāīīāī ðāçāēðēy īðīððīçyēñðāā, ā 30 ðāçēē÷īúð īóīēðīā Āðóçēē ā 1971-76 ā.ā. āuēē çāāāçāīú è āuīrōūāīú ā īðēðīāð īēīēī 566 āīēīā āēēēð è āēāðēāīūð ñāēīāē. Īāðāīā āðāīy æēāīðīúā òñīāøīī rēīāēēēñū ā īðāāēuīūð ðāēīāāð è āāæā, īāñīððy īē īā ÷ðī,

íðááeuíúá íñíáè ñíððáíèèèñú áí íàøèð áíáé. Ýðí eáñà ááððóíáúáá ðáé Ñéóðè, Çáèaðè, Òáàçàìè, Áçàìà, Àèááàðè, Òðàìè, à ðàèæá çàèàçíèè Áàðááááíñéíáí ðáéííà. Ñ áðóáíé ñðíðííú, á ðàèèð ó÷áñðèáð, èàè áíèèíú è óúáèúú Áðáááè, Ááíè, Òàèáíáæðòà, Òàðááíóèè, Ááàøà, Çáìí-Ðà÷à, èáááíú èñ÷áçèè ì÷áíú ñéíðí.

È 1976 áíáð íí ááííúí "Íðíðñíþçà", á Áðóçèè íàñ÷èðúááèíñú áí 10350 èáááííá, á 1983 áíáð óæá áí 9000 áíèíá [8] (íí ááííúí Èíñðèððòðà çííèíáèè – íá áíèáá 2000!). [5] È 1989 áíáð ííáíèíáúá ñíèððàèèíñú áí 1500 áíèíá [2,3,7].

Á íàñðíúúáá áðáíú á Áðóçèè ÷èñðíèððáííúé áèèèè èáááí íðñòðñðáðóáð. Áñððá÷áðñú èèøú íðèøèúá íñíáè, èíðíðúá íááíèúøèèè ðááóíáìè (íí 3-7 áíèíá) íèáðèððòð èç ñíáæíúð ðáððèððíðèè Áçáðááèèáíá (Áàøèíááíñèèè çáííááíèè, Áàðááááíñèèè çáèàçíèè è óúáèúá Òðàìóèè), Òððòèè (Òðàèðáèèè), ×á÷áíí-Èíáóøáðèè (Øàðèèè, Áððíðè, áí Áðáááíñéíáí óúáèúú). Íáíáèí áñá íèè íáðá÷áíú íá óíè÷ðíæáíèá ñí ñðíðííú áðáèííúáðíá.

Èíñóèúú (Capreolus capreolus. L.) – á íñíáííí íðèááðæèáááðñú áíðíúð eáñíá (700-2000 ì í.ó.ì.). Á ííèíáííúð eáñáð íðñòðñðáðóáð. Èñèèþ÷áíèá ñíñðááèúáð Èíèøèáñèáú íèçíáíííñðú, ááá íðááèúíúá íñíáè íííááðñú èèøú á áíèíðèñðúð eáñáð ×áèááèè è ó ðíðóúíèñðúð ááðááíá íçáðá Íáèèáñðíèè. Ðáæá íííááðñú íá íííáííáííúð ó÷áñðèáð, ðàèèð èàè óúáèúú ðáè Ááæáðèñ-Òðàèè, Èáæáíóðè, Èáðððà, Òðáíèñðòàèè. Íðááèúíúá íñíáè íðíá÷áíú á Èíáóðñèí óúáèúá (Òàèøè-Èáèúíè), ðàèæá – á Ðèííèèí óúáèúá (Áàðè) – áí 10-15 íñíááè.

Ñðááíèððáèúí íííáí÷èñèáíá èíñóèúú á áíðíúð eáñáð áíñðí÷íè Áðóçèè è þáííáí Èááèàçà – á óúáèúúð ðáè Áèáçàíè, Áðáááè, Èíðè, Èèáðáè, Èñáíè, Àèááàðè, Òðàìè è á Áíðæííèíí óúáèúá. Íá ýðíè ðáððèððíðèè íá èáæáðð ðúñú÷ó ááèðáðíá á ñðááíá íáðíáèðñú áí 3-6 íñíááè. Íá Òèá-Áííáíðñèí ððááðá èíñóèúú èñððááèíá íí÷èè ííèííñðúþ. Çà ííèèáíáá áðáíú ñáíúúè èç 4-5 áíèíá èíñóèúú ñðàèà çáñáèúð eáñá Òóøáðèè è Òáñáððáðèè, ááá íðàèðè÷áñèè íáð íáñáèáíèú. Á íàñðíúúáá áðáíú á Áðóçèè íá íèíúááè óáíáèè á 2 íèí ááèðáðíá íàñ÷èðúáááðñú íð 7 áí 8 ðúñ. áíèíá èíñóèè [2,3].

ცნობილია, რომ ყველაზე გავრცელებულ სინათლის შემგრძობ პიგმენტს როდოპსინი წარმოადგენს. იგი ცილა ოპსინისა და ქრომოფობული ჯგუფის – რეტინალისაგან შემდგარი რთული კომპლექსია. რეტინალი – A ვიტამინის ალდეჰიდს წარმოადგენს. როდოპსინი შედის ოპსინის მოლეკულებს შორის და ახდენს ამ ცილის სტრუქტურის სტაბილიზაციას. სხვა მხედველობითი პიგმენტებია – იოდოპსინი, პორფიროფსინი და ციანოპსინი. ცილა ოპსინის და ქრომოფობული ლიპიდური ბუნების ჯგუფის იზომერულ ფორმებს წარმოადგენენ [29].

აქედან იკვეთება მეტად საინტერესო საკითხი: თუკი ცილა ოპსინის და რეტინალის კომპლექსი წარმოადგენს ერთადერთ ფოტონის შემგრძობ ქიმიურ ნივთიერებას და პირველად ცხოველთა სამყაროში გვხვდება მხედველობითი პიგმენტის გროვების (პიგმენტური თვალუკი) სახით ერთუჯრედიანთა ტიპის შოლტოსნების კლასში (ცნობილი *Euglena viridis*), როგორ ხდებოდა ევოლუციის პროცესში ამ კომპლექსური მოლეკულური ნაერთის ულტრასტრუქტურული და სტრუქტურული ორგანიზაცია მრავალუჯრედიან, უხერხემლოთა და ხერხემლიან ცხოველებში უაღრესად სპეციალიზირებულ უჯრედებად – ფოტორეცეპტორებად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენი გამოკვლევის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა მოლუსკების მწერების და ხერხემლიანთა სხვადასხვა კლასის (თევზების, ამფიბიების, ქვეწარმავლების, ფრინველების და ძუძუმწოვრების) დღისა და ღამის მხედველობის ადაპტაციის მქონე ცხოველების თვალის ბადურის ფოტორეცეპტორების სტრუქტურა.

მასალა და მეთოდიკა

მასალად გამოყენებული იქნა უხერხემლო ცხოველებიდან – მუცელფეხიანი მოლუსკების წარმომადგენელი (*Helix lucorum*), მწერებიდან – ფუტკარი (*Apis mellifera*), ჭიანჭველა (*Formica rufa*) და ღამის პეპელა (*Sanio cocropa*), ხოლო ხერხემლიანებიდან მტკვრის თევზების: ხრამულის (*Varicorinus capoeta*) და წვერას (*Barbus cyri*); ამფიბიებიდან: ტრიტონის (*Triturus taeniatus*) და ბაყაყის (*Rana ridibunda*), ქვეწარმავლებიდან: ყურებიანი მრგვალოთავა ხვლიკის (*Phrynocephalus mystaceus*), ჩვეულებრივი გელგესლას (*Vipera berus*), გიურზას (*Vipera libetina*), ხვლიკისებური გველის (*Malpolon monsspauculanus*), ფრინველებიდან თეთრი რუსული ჯიშის ქათმების (*Galus domesticus*), ძუძუმწოვრებიდან: ძაღლის (*Canis familiaris*) და ბოცვერის (*Orictologus cuniculus*) თვალები. ფიქსირდებოდა თითოეული სახეობის არანაკლებ 3-3 ცხოველის თვალები. თითოეული ცხოველიდან ერთ თვალს ვიღებდით ჰისტოლოგიური კვლევისათვის, ხოლო მეორეს – ელექტრონულ-მიკროსკოპული კვლევისათვის, ან მიკრო-სპექტრომეტრიისათვის. მხედველობითი პიგმენტების მიკროსპექტრომეტრული კვლევისათვის ცხოველებს ვტოვებდით სიბნელეში ღამის განმავლობაში ადაპტაციისათვის, დღით კი ფიქსაციას ვაწარმოებდით წითელ სინათლეზე [1, 2, 3, 4, 5, 8, 9, 10, 11, 12, 14, 27].

ცხოველების თვალის ჯამს ვაფიქსირებდით 2% გლუტარ-ალდეჰიდის ფოსფატურ ბუფერზე (pH 7,2) დამზადებულ ხსნარში და შემდეგ O_4 1% ბუფერულ ხსნარში. ტრანსმისიური მიკროსკოპისათვის მასალა ყალიბდებოდა ეპონ 812 ხელოვნურ ფისში. ანათლები იჭრებოდა რაინერტის ფირმის UM-2 ულტრატომზე. მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპისათვის ფიქსაციის შემდეგ მასალას ვაშრობდით სპეციალურ დანადგარში CO_2 კრიტიკული წერტილის პირობებში. შემდეგში ვაკუუმის პირობებში ხდებოდა მასალის დაფრქვევა ოქროთი. ელექტრონოგრაფები მიღებული იყო მასკანირებულ ელექტრონულ მიკროსკოპზე – Novaskan-30 (გერმანია – ფირმა Opton) და იაპონური ტრანს-მისიული JEM-100B ელ.მიკროსკოპზე (ფირმა JEOL).

ფოტორეცეპტორების მხედველობითი პიგმენტების შესწავლა მიმდინარეობდა ცოცხალ იზოლირებულ უჯრედებზე სპეციალურად კონსტრუირებული მიკროსპექტროფოტომეტრის საშუალებით [8].

კვლევის შედეგები

მოლუსკებში. ჩვენ მიერ შესწავლილი მოლუსკის – *Helix lucorum*-ის თვალი მოთავსებულია საცეცებზე და მისი ეპითელიური საფარველის ჩაზნექილობას წარმოადგენს. თვალი ჯამისებური


ფორმისაა, გარედან დაფარულია გამჭვირვალე ბრტყელი ფორმის ეპითელური უჯრედებით, რომლებიც ე.წ. რქოვანას ქმნიან. რქოვანას ქვეშ მოთავსებულია გამჭვირვალე წაგრძელებული უჯრედებით წარმოქმნილი ბროლი, რომელიც სხივშემკრებ ლინზას წარმოადგენს. ბროლის ირგვლივ თვალის ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია ბიპოლარული ფორმის ბადურის უჯრედებით. ეს უჯრედები ორიენტირებულია სინათლის სხივის პარალელურად. მათი აპიკალური ნაწილი წარმოადგენს პრიმიტიული ფოტორეცეპტორის გარეთა და შიგნითა სეგმენტებს. სეგმენტებში მოიპოვება პიგმენტის გროვები. უჯრედების ბაზალური ნაწილიდან გამოდის ნერვი, რომელიც მოლუსკის ხახის ქვედა ნერვულ კვანძს უკავშირდება. ელექტრონულ-მიკროსკოპულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მხედველობით უჯრედის გარდა (გარეთა) სეგმენტი შედგება მიკროვილებისაგან, ხოლო შიგნითა სეგმენტში არსებული მიელოიდური სხეულაკები ენდოპლაზმური ბადის სახეცვლილებას წარმოადგენენ. გარეთა სეგმენტის მემბრანა დაკავშირებულია შიგნითა მოსაზღვრე მემბრანასთან, რომლის სისქეა 5-6 მკმ. გარეთა სეგმენტების პლაზმური მემბრანა ქმნის ფორფიტოვან მიკროვილებს, რომლებიც სხივის მიმართ პერპენდიკულარულად არიან განლაგებულნი და ამით ემსგავსებიან მწერების რაბდომის სტრუქტურას.

მიკროვილები მეზობელ სეგმენტებში განლაგებული არიან ურთიერთ პერპენდიკულარულად, ხოლო თვით სეგმენტში კი ურთიერთპარალელურად მხედველობითი უჯრედის პროქსიმალურ ნაწილში განლაგებულია უჯრედის ბირთვი, ენდოპლაზმური ბადე, მიტოქონდრიები, გოლჯის კომპლექსის ელემენტები და მიელოიდური სხეულაკები.

საინტერესოა, რომ მოლუსკებისათვის დამახასიათებელია სინათლისშემგრძობი პიგმენტის 2 ნაირსხვაობა – როდოპსინი და როდოქრომი. ჰარა და ჰარას მონაცემებით [19, 20] როდოპსინი განლაგებულია მოლუსკების მხედველობით უჯრედებში, როდოქრომი კი მხედველობითი უჯრედის ბაზალურ ნაწილში მიელოიდური სხეულაკების მემბრანებზე. ორივე პიგმენტის შემადგენლობაში შედის რეტინალი: როდოპსინში 11 – ცის რეტინალის, როდოქრომში კი რეტინალის ტრანსფორმის სახით. სინათლის შემოქმედებისას როდოქრომი გარდაიქმნება როდოპსინად, როდოპსინი კი განიცდის საპირისპირო გარდაქმნას, რის შედეგად სცილდება ოპსინის მოლეკულას. შემდეგ ხდება როდოპსინის სტრუქტურის აღდგენა. ეს პროცესი ჰგავს როდოპსინის იზომერიზაციას სინათლის აღქმის პროცესში. ხერხემლიან ცხოველებში. მაგრამ ხერხემლიანებში როდოპსინის აღდგენას ასრულებს არა როდოქრომი, არამედ რეტინალ-იზომერაზა. ეს მონაცემები ადასტურებენ შესწავლილი ლოკოკინას ფოტორეცეპციის დიქროიზმს, რაც ემსგავსება მწერების დიქროიზმს.

ჩვენ მიერ მიღებული მონაცემები *Helix lucorum*-ის თვალის პრიმიტიული სტრუქტურული და ულტრასტრუქტურული აგებულების შესახებ და ლიტერატურაში არსებული მონაცემები მის მხედველობით უჯრედებში როდოპსინის და როდოქრომის ურთიერთკავშირზე სინათლის აღქმის პროცესში, გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ლოკოკინას აქვს მხედველობის დიქროიზმი, არჩევს პოლარიზებული სხივის სიბრტყეს და ახასიათებს რაბდომერების მიკროვილების დიქროიზმი.

მწერები. მწერების კლასში შესწავლილი იქნა დღის სინათლის მიმართ ადაპტირებული მწერის – ფუტკრის (*Apis mellifera*) ფასეტური თვალის აგებულება. შესწავლილი იქნა აგრეთვე დღისა და ღამის სინათლის მიმართ ადაპტირებული ჭიანჭველას და ღამის პეპლის ფასეტური თვალის სტრუქტურა. (სურ. 1) ნაჩვენებია ფუტკრის ფასეტური თვალის ელექტრონოგრაფია, მიღებული მას-კანირებელ ელექტრონულ მიკროსკოპში. ელექტრონოგრაფიაზე კარგად ჩანს მომრგვალებული, ოდნავ ჰოლიგონალური ფორმის ფასეტების – ომატიდიების ზედაპირი, რომელთა შორის გრძელი ბუსუსებია. ეს ბუსუსები განლაგებული არიან ომატიდიების თითქმის ყველა რიგში ჭადრაკისებურად. ყოველ რიგში თითოეულ ბუსუსს შორის მანძილი 3-4 ომატიდიას ტოლია. ამ ბუსუსებს უდაოდ ფასეტური თვალის დაცვა ევალება მექანიკური დაზიანებისაგან. ფუტკრის თვალის თითოეული ომატიდია (მათი რაოდენობა 4000-5000) საკმაოდ რთული აგებულებისა და აღჭურვილია საკუთარი დიოპტრიული სისტემით. ომატიდიის აპიკალურ ნაწილში მოთავსებულია ელიპსოიდური კორნეალური ბროლი, მის ქვეშ კი კრისტალური კონუსი. ბროლის და კრისტალური კონუსის ირგვლივ განლაგებულია მთავარი და გარეთა პიგმენტური უჯრედები, რომლებიც სინათლის ეკრანიზაციას ახდენენ. ამ დიოპტრიული მოწყობილობის ქვეშ განლაგებულია ფოტორეცეპტორული აპარატი, რომელიც წარმოდგენილია რეტინულით. რეტინულა ფუტკრებში შედგება 8 წაგრძელებული უჯრედისაგან, რომლებიც მთელ სიგრძეზე მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს. რეტინულა განლაგებულია ომატიდიის ოპტიკურ ღერძზე და ქმნის რაბდომს, რომელიც რაბდომერებისაგან შედგება. რაბდომერები შედგებიან რეტინულარული უჯრედების მიკროვილებისაგან, რომლებიც სინათლის მიმართ პერპენდიკულარულად არიან განლაგებული. სწორედ ამ მიკროვილების მემბრანებზე ხდება სინათლის აღქმა. გრიბაკინის გამოანგარიშებით ფუტკრის მიკროვილების ფოტორეცეპტული მემბრანების საერთო ფართი 3800 მკმ² შეადგენს [7]. რეტინულარული უჯრედებისათვის დამახასიათებელია კარგად განვითარებული გრანულარული ენდოპლაზმური ბადე, მრავალი მიტოქონდრია. მიტოქონდრიები მჭიდროდ ეკვრიან ენდოპლაზმურ ბადეს. რეტინუ-




სურ. 1. ფუტკრის – *Apis mellifera* ფასეტური თვალის ელექტრონოგრაფია. მასკანირებული ელ. მიკროსკოპი. ომ. – ომატიდები, ბ. – ბუსუსები. X1000

ლარულ უჯრედში მთელ სიგრძეზე გასდევს ცენტრალური ენდოპლაზმური ცისტერნა, რომელიც დაკავშირებულია დისტალურად განლაგებულ გრანულარულ ენდ. ბადესთან და მთავრდება რეტინალური უჯრედების აქსონებთან. რეტინალური უჯრედები, ფაქტიურად, პირველად მგრძნობიარე ნეირონებია, რომლებიც რეცეპტორული და ნერვული უჯრედის ფუნქციას ერთდროულად ასრულებენ. რეტინალური უჯრედების ირგვლივ განლაგებულია წაგრძელებული პიგმენტური უჯრედები. ფუტკრის თვალი ეკუთვნის მწერების აპოზიციური თვალების ტიპს, თანამედროვე კლასიფიკაციით – ფოტოტიპურ თვალებს [6, 7]. ეს თვალები ხასიათდება სინათლისადმი ნაკლები მგრძნობიარობით, სამაგიეროდ მის მიმართ სწრაფი ადაპტაციის უნარით, რაც დამახასიათებელია დღის სინათლისადმი ადაპტირებული მწერებისათვის.

ჭიანჭველას (*Formica rufa*) ფასეტური თვალი გარეგნულად განსხვავდება ფუტკრის თვალისაგან იმით, რომ თითოეული ომატიდის ზედაპირის ფართი ოდნავ მცირეა და მათ შორის არ მოიპოვება ისეთი გრძელი ბუსუსები, როგორც ფუტკრის თვალში (სურ. 2). ჭიანჭველას ომატიდებს შორის აღინიშნება ძალიან მცირე ზომის ოდნავ შესამჩნევი ბუსუსები. თვალის ირგვლივ განლაგებულია კარგად გამოხატული ჰიპოდერმული თვალის ირგვლივი ნაოჭი, რომელშიც ნათლად ჩანს კარგად განვითარებული სწორი და ხშირი ბუსუსები (სურ. 2).


თითოეული ომატიდის აგებულება ჰგავს ფუტკრის ომატიდის ულტრასტრუქტურას, ოდნავი განსხვავებით. რეტინალური უჯრედები, რომლებიც განლაგებული არიან რაბდომის ირგვლივ, უფრო მოკლეა. ამით ჭიანჭველას ომატიდია უფრო წააგავს სუპერპოზიციურ ანუ სკოტოტროპულ ომატიდიას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჭიანჭველები დღე და ღამე აქტიურ ცხოვრებას ეწევიან, გასაგები ხდება ჭიანჭველას რთული თვალის ომატიდის განმასხვავებელი ულტრასტრუქტურა.

ჩვენ მიერ შესწავლილ ღამის პეპელას (*Sanio cocropa*) ომატიდიას სტრუქტურა ჰგავს ღამის პეპლის *Ephestia*-ს ომატიდიის აგებულებას [13], მაგრამ აქვს რიგი თავისებურებანი. *Sanio cocropa*-ს ფასეტური თვალი წარმოდგენილია მრგვალი ფორმის ომატიდებით. ომატიდებს შორის არ შეიმჩნევა არც ბუსუსები, არც სხვა რაიმე გამონაზარდები, რომელნიც კარგად გამოხატული იყო ფუტკრის და ნაწილობრივად, ჭიანჭველას ფასეტურ თვალში (სურ. 3). ომატიდის სტრუქტურული განსხვავებანი შემდეგია: 1) რქოვანას ბროლი ბრტყელია, ოდნავი გამოხეტილობა გამოიხატება აბიკალურ ნაწილში; 2) კრისტალური კონუსი ძლიერ წაგრძელებულია, მის ირგვლივ განლაგებული არიან მეტად



სურ. 2. ჭიანჭველას – *Formica rufa* ფასეგური თვალის ელექტრონოგრაფა. მასკანირებული ელ. მიკროსკოპი. ომ. – ომატიდები, ბ. – ბუსუსები. X1000


თხელი კორნეაგენული უჯრედები. რეტინალური უჯრედები ძალიან წაგრძელებულია; 3) რაბდომი ძალიან წაგრძელებულია და განლაგებულია უჯრედის ბაზალურ ნაწილში, რაბდომის სიგანე ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ფუტკრის და ჭიანჭველას ომატიდიაში; 4) ომატიდიის ბაზალურ ნაწილში მოიპოვება ბაზალური უჯრედი, რომელიც ერთი ან ორი რეტინალური უჯრედის სახეცვლილებას წარმოადგენს.



სურ. 3. ღამის პეპლის – *Sanio cocropa* ფასეგური თვალის ელექტრონოგრაფა. მასკანირებული ელ. მიკროსკოპი. ომ. – ომატიდია. X1500


ასეთი სტრუქტურის ომატიდია ხასიათდება სინათლის მაღალი მგრძობელობით (საერთო სინათლის დიდი ძალით), მაგრამ ახასიათებს ადაპტაციის სიჩქარის სიმცირე. ადაპტაციის პროცესში დიდი როლი ენიჭება პიგმენტური გრანულების მიგრაციას. ღამის მხედველობის მწერების თვალს სუპერპოზიციულ ან, თანამედროვე კლასიფიკაციით, სკოტოტიპულ თვალს უწოდებენ.

მიღებული მონაცემებით, სხვადასხვა სინათლის მიმართ ადაპტაციის მქონე მწერის ფასეგური თვალის შესწავლის შედეგებმა გვიჩვენეს, მიუხედავად მათში მხედველობითი პიგმენტის რეტინალის არსებობისა, ომატიდიის რეტინალური, პიგმენტური უჯრედების, კრისტალური კონუსის კორნეალური ბროლის სტრუქტურული და ულტრასტრუქტურული თავისებურებანი განაპირობებენ მწერების ფოტოტროპულ და სკოტოტროპულ მხედველობათა ფიზიოლოგიურ თავისებურებებს.




სურ. 4. ხრამულის – *Varicorinus capoeta* თვალის ბადურის განივი ჭრილის მიკრო ფოტოგრაფია. პ.ეპ. – პიგმენტური ეპითელიუმი, ფ. – ფოტორეცეპტორები, გ.ბირთ.შ. – გარეთა ბირთვული შრე, გ.ბად.შ. – გარეთა ბადებრივი შრე, შიგნითა ბირთვული შრე, შ.ბად.შ. – შიგნითა ბადებრივი შრე. შეღებილია კემაგოქს-ეოზინით. X400

თქვენი. შესწავლილი ხრამულის და წვერას თვალის ბადურის ფოტორეცეპტორების ულტრასტრუქტურა დამახასიათებელია ლიტოფილური თევზებისათვის. ბადურის ფოტორეცეპტორები და პიგმენტური ეპითელიუმი ჯამში შეადგენენ ბადურის სისქის 1/3-ს (სურ. 4). ხრამულის ფოტორეცეპტორული შრე წარმოდგენილია ჩხირებით, ერთმაგი და ორმაგი კოლბებით. იგივეს ვხვდებით წვერას ბადურაში. ჩხირების გარეთა სეგმენტი წარმოდგენილია მჭიდროდ განლაგებული მემბრანული დისკოებით, რომელთაც გარედან აკრავს პლაზმური მემბრანა (სურ. 5). გარეთა სეგმენტებს შორის მდებარეობენ პიგმენტური უჯრედების მორჩები მრავალი პიგმენტური გრანულით (სურ. 5, 6). ამ გამონაზარდების საშუალებით ხორციელდება მეტაბოლური კავშირი გარეთა სეგმენტების მემბრანებსა და პიგმენტურ უჯრედებს შორის. ერთმაგი კოლბების გარეთა სეგმენტები ბევრად უფრო მოკლეა და კონუსისებური, ორმაგი კოლბების – პირიქით, მეტად წაგრძელებულია და მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს. ჩხირების და კოლბების გარეთა სეგმენტის პროქსიმალური ნაწილი გადადის წამწამის ფუძეში (სურ. 6), რომელიც ემიჯნება ფოტორეცეპტორების შიგნითა სეგმენტს. წამწამის ამ ნაწილიდან უჯრედის მთელ პერიმეტრზე გამოდიან მიკროვილები, რომლებიც მიემართებიან და უკავშირდებიან პიგმენტური უჯრედების მორჩებს [12].



სურ. 5. ხრამულის – *Varicorinus capoeta* ფოტორეცეპტორების ელექტრონოგრაფია. ჩხ. – ჩხირების გარეთა სეგმენტის მემბრანები, პ.ეპ. – პიგმენტური ეპითელის უჯრედების მორჩები, პ.გ. – პიგმენტის გრანული. ფიქს. 2% OsO4, ჩაყალიბ. ეპონ 812. X30000

ჩხირების შიგნითა სეგმენტი წარმოდგენილია მჭიდროდ განლაგებული მიტოქონდრიების ჯგუფით. ამ მიტოქონდრიებს ახასიათებთ ძლიერ განვითარებული კრისტები, რომლებიც მთლიანად ავსებენ მიტოქონდრიის შიგთავსს (სურ. 6). კრისტებს შორის ჩანს ნათელი მატრიქსი. კოლბებში ელიფსოიდის ქვეშ მოიპოვება მცირე ზომის ცხიმოვანი წვეთი. წვერას როგორც ჩხირების, ისევე კოლბების გარეგანი სეგმენტები საგრძნობლად მოკლეა. კოლბებში მიტოქონდრიები ორიენტირებულია უჯრედის ღერძის მიმართულებით. პარაბოლოიდი ხრამულის და წვერას ფოტორეცეპტორებში წარმოდგენილია სუსტად განვითარებული ენდოპლაზმური ბადის არხებით, რიბოსომული კომპლექსებით და გლიკოგენის



სურ. 6. ხრამულის – *Varicorinus capoeta* ფოტორეცეპტორების გარეთა და შიდა სეგმენტების ელექტრონოგრაფია. ჩხმ.დ. – ჩხირების გარეთა სეგმენტის მემბრანული დისკოები, ელ. – შიდა სეგმენტის ელიპსოიდი მიტოქონდრიებით, პ.ეპ. – პიგმენტური ეპითელიუმის მორჩები. ფიქს. 2% OsO4, ჩაყალიბ. ეპონ 812. X30000

მარცვლებით. თვით ხრამულის ფოტორეცეპტორების სხეული ოვალური ფორმისაა. სხეულის ძირითადი ნაწილი უკავია ოვალური ფორმის ბირთვს. ბირთვაკი მცირე ზომისაა. კარიოპლაზმაში გვხვდება ქრომატინის წვრილი გროვები. ბირთვის ორმაგ მემბრანაში მცირე რაოდენობით ბირთვული ფორები მოიპოვება. წვერას ფოტორეცეპტორების სხეული უფრო გამოწეულია, შესატყვისად ბირთვებიც უფრო ოვალური ფორმისაა და მეტად კომპაქტური სტრუქტურა აქვთ. ორივე სახეობის თევზების ფოტორეცეპტორების პროქსიმალურ ნაწილში იქმნება ბადურის პირველ ნეირონებთან – ბიპოლარებთან თავისებური სინაპსები. თვით ფოტორეცეპტორი კი ფუნქციონალურად პირველად მგრძნობიარე უჯრედს წარმოადგენს, რომელიც ერთის მხრივ – სინათლის შემგრძნობი რეცეპტორია, მეორეს მხრივ – ნერვული უჯრედის მსგავსად წარმოქმნილი ელექტროპოტენციალის გამტარებელი. ეს თვისება დამახასიათებელია ყველა ხერხემლიანის ფოტორეცეპტორისათვის [6,12].

ხრამულის და წვერას ფერადი მხედველობის შესახებ ლიტერატურაში მონაცემები, სამწუხაროდ არ მოიპოვება. ცნობილია, რომ უკვე განოიდურ თევზებს ახასიათებს ფერადი მხედველობა. შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება მხოლოდ ჩვენი მასალების შესწავლის საფუძველზე. კერძოდ ხრამულის და წვერას თვალის თავისებურ კოლბებში და ორმაგ კოლბებში სუსტად გამოხატული ცხიმის წვეთის არსებობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ თევზებს ახასიათებს სუსტი ფერადი მხედველობა, რაც განპირობებულია წყლისზედა ფენებში მათი ბინადრობით (ხრამული და წვერა ლიტოფილურ თევზებს მიეკუთვნებიან).

ამჟიბიპი. ამჟიბიბს გააჩნიათ ხერხემლიანებისათვის დამახასიათებელი ბადურა. იმისდა მიხედვით, თუ რომელ სახეობასთან გვაქვს საქმე, გარეთა ბირთვული შრე შეიძლება შედგებოდეს ბირთვების 1-3 შრისგან. გარეთა ბირთვული შრე ვიწროა, შიგნითა კი ბირთვების 5-8 შრისგან შედგება და უფრო ფართოა, ხოლო განგლიოზური უჯრედების შრე წარმოდგენილია ბირთვების 1-4 შრით. აღწერილია 4 სახის ფოტორეცეპტორები: წითელი ჩხირები, მწვანე ჩხირები, კოლბები და ორმაგი კოლბები.

ყველაზე გავრცელებულია წითელი ჩხირები. ეს მაღალსპეციალიზებული უჯრედები შედგება წაგრძელებული, ცილინდრული გარეთა სეგმენტისა (27-45 მ სიგრძის) და შიგნითა სეგმენტისაგან, რომელიც შედგება წაგრძელებული მიტოქონდრიებისა და არათანაბარი ელექტრული სიმკვრივის მქონე მიოიდისაგან. მწვანე ჩხირებს წითელი ჩხირებისაგან განსხვავებით გააჩნია უფრო მოკლე გარეთა სეგმენტი (20-30 მ სიგრძის) და წაგრძელებული შიგნითა სეგმენტი, რომლის ელიპსოიდი წარმოდგენილია უფრო პატარა მიტოქონდრებითა და წვრილი (თხელი) მიოიდით; ბირთვი მოთავსებულია ფოტორეცეპტორის სხეულში. მის ირგვლივ არის ენდ. ბადის არხები, გლიკოგენის გროვები და რიბოსომები. ერთმა კოლებს გააჩნია გაცილებით უფრო პატარა კონუსური გარეთა სეგმენტი (7-13 მკმ სიგრძის) და მომრგვალებული შიგნითა სეგმენტი, რომელიც შეიცავს ელიფსოიდს. კოლებების ელიფსოიდი ჩხირებთან შედარებით მეჩხერად ჩალაგებულ მიტოქონდრებს შეიცავს. აგრეთვე იგი ბოლოვდება მოზრდილი და უფრო ჰომოგენური სინაფსური დაბოლოებით.

ორმაგი კოლები წარმოდგენილია ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მეტნაკლებად მოდიფიცირებული კოლებით. ეს კონტაქტი არ არის მხოლოდ მათ გარეთა სეგმენტებს შორის. ორმაგი კოლების მთავარ წვერს, დამატებით შედარებით გააჩნია მომრგვალო მიოიდი და უფრო მკვრივი ბოჭკოს ტიპის უჯრედის სხეული. ლიპიდის წვეთი გააჩნია მთავარ და არა დამატებით წვერს. უკანასკნელი წარმოადგენს ბაყაყების ერთადერთ ფოტორეცეპტორს, რომელიც პარაბოლოიდში შეიცავს გლიკოგენის გროვებს.

ლიტერატურაში მეტი ყურადღება ეთმობა გარეთა სეგმენტს, რომელიც ახდენს სინათლის რეცეპციას, რაც იწვევს ელექტრული პოტენციალის გენერირებას. ჩვენმა ელექტრონულ-მიკროსკოპულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ როგორც კოლებების, ასევე ჩხირების გარეთა სეგმენტები შედგება გაბრტყელებული მემბრანული დისკოებისგან, რომლებიც გარშემორტყმულია პლაზმური მემბრანით. ამ დისკოების მემბრანები შეერთებულია უჯრედის მემბრანასთან კოლებების ცალ მხარეს მთელ სიგრძეზე, ჩხირებში კი მხოლოდ გარეთა სეგმენტის ძირში (ფუძეში). ჩვენ მიერ შესწავლილი ბაყაყების და ტრიტონების ფოტორეცეპტორები ძალიან მსგავსია, მაგრამ არის გარეგნული განსხვავებანი, თუმცა ცნობილი არ არის ესება თუ არა ეს ყველა კუდიანი და უკულო ამფიბიის ფოტორეცეპტორებს. ასეთ განსხვავებებს მიეკუთვნება ლიპიდის წვეთის უქონლობა ერთმა კოლებში და ორმაგი კოლებების მთავარ წვერში, გლიკოგენით მდიდარი პარაბოლოიდის არსებობა. ამფიბიების კოლებების დამატებით წვერი და ჩხირები პირველად მგრძნობიარე ნეირონს წარმოადგენს. ნაჩვენები იქნა, რომ გარეგანი მემბრანის დისკოების ზედაპირზე გამოვლენილი როდოპსინის მოლეკულა ინტეგრირებულია მემბრანის წარმოქმნელ მოლეკულებში [6]. კუდიანი ამფიბია პროტეუსის ფოტორეცეპტორებში გარეგანი სეგმენტის მემბრანები 7000 მკ² ფართს ქმნიან. ეს მეტყველებს სინათლის რეცეპციაში რეტინალის მნიშვნელობაზე. დადგენილი იქნა, რომ ფოტორეცეპტული მემბრანები შეიცავენ ჟანგვა-აღდგენით ფერმენტებს: ალკოგოლ-დეჰიდროგენაზას, გლუკოზო-6-ფოსფატაზას და სხვა. დიდი რაოდენობით ამ მემბრანებში მოიპოვება ატფ-აზა, ატფ-ზას და მასთან დაკავშირებული Mg⁺⁺ იონის აქტიობის საფუძველზე ხდება კოლებების და ჩხირების გარეთა სეგმენტების სიგრძის შეცვლა – ე. წ. რეტინომოტორული რეაქცია. ამ პროცესში მონაწილეობს აგრეთვე ფოტორეცეპტორის შოლტის ფიბრილები, რომლებიც შოლტის ფუძესთან არიან განლაგებული. ფოტორეცეპციის პროცესი დაკავშირებულია N⁺⁺ და K⁺ იონების კონცენტრაციის შეცვლასთან, რაც ნაჩვენები იყო ბაყაყის ფოტორეცეპტორულ მემბრანაზე [6]. საინტერესოა, რომ ჩვენს ლაბორატორიაში ჩატარებულ ექსპერიმენტებში მოზრდილი კუდიანი ტრიტონების და ბაყაყების თვალის გარსის ტრანსდიფერენცირების შესწავლის დროს, ნაჩვენები იქნა მისი უჯრედების ტრანსდიფერენცირება ფოტორეცეპტორულ უჯრედებად, თუმცა ფოტორეცეპტორების გარეგანი სეგმენტების ულტრასტრუქტურა ატიპური აღმოჩნდა [3].


ქვეწარმავლების ფოტორეცეპტორების შესწავლა დიდ ინტერესს წარმოადგენდა, ვინაიდან ამ კლასის წარმომადგენლები ადაპტირებულნი არიან მეტად განსხვავებულ საცხოვრებელ გარემოში, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მათი ფოტორეცეპტორების მორფო-ფიზიოლოგიური თავისებურებების ჩამოყალიბებისათვის.

ყურებიანი მრგვალთავა ხვლიკის ბადურის ჰისტოლოგიური და ელექტრონულ-მიკროსკოპული შესწავლისას ნაჩვენები იქნა, რომ მისი ფოტორეცეპტორები შედგებიან მხოლოდ კოლებების, დიდი და პატარა ერთმაგი და ორმაგი კოლებებისაგან. ფოტორეცეპტორების უმრავლესობა ცხიმის წვეთს შეიცავს. ის ფოტორეცეპტორები, რომლებიც ცხიმის წვეთს არ შეიცავენ, სინამდვილეში ორმაგი კოლებების დამატებით კომპონენტებს წარმოადგენენ.

ყურებიანი მრგვალთავას კოლებს, რომლებიც განლაგებული არიან გარეთა მოსაზღვრე მემბრანის ქვეშ, აქვს მეტად თავისებური აგებულება. ეს განსაკუთრებით ჩანს ცენტრალური ყვითელი ლაქას მიდამოებში (fovea). პარაფოვალურ ნაწილში გარეთა მოსაზღვრე მემბრანის დონეზე ისინი მკვეთრად ვიწროვებიან და ემსგავსებიან გრძელ წვრილ (1-2 მკმ) მორჩებს, რომლებშიც მიმართული არიან

ირიბულად თვალის ცენტრიდან პერიფერიისაკენ. შიგნითა სეგმენტის 100 მკმ დაშორებით ეს მორჩები ფართოვდებიან. გაფართოებულ ნაწილში განლაგებულია ბირთვები. ბირთვის ქვემოთ ეს მორჩები ისევ ვიწროვდებიან და გადაიქცევიან აქსონებად, რომლებიც აკავშირებენ გარეთა ბირთვულ შრეს საკუთარ სინაპსურ დაბოლოებებთან [27].

შესწავლილი გველების (გიურზას, ჩვეულებრივი გველგესლას, ხვლიკისებური გველის) ბადურის რეცეპტორები ხასიათდებიან რიგი თავისებურებებით. გველების ბადურაში არჩვენ ორმაგ კოლბებს, ერთმაგ დიდ და მცირე კოლბებს და ჩხირებს (სურ. 7). ერთ-ერთ დამახასიათებელი ნიშანია ელიპსოიდის მიტოქონდრიებში მკვრივი გრანულების არსებობა, ცხიმის წვეთის უქონლობა და პარაბო-




სურ. 7. გველების ფოტორეცეპტორების აგებულების სქემა. a - გველგესლა, გიურზა; b - ხვლიკისებური გველი; A - დიდი ერთმაგი კოლბები; B - ორმაგი კოლბები; C - მცირე ერთმაგი კოლბები; C - ჩხირები; E.L.M. - გარეთა მოსაზღვრე მემბრანა; SR - სინაპსის უბანი

ლოიდების არარსებობა. ორმაგი კოლბების გვერდით თვალში საცემია პარანუკლეალური სხეულის და გარეთა სეგმენტების არაჩვეულებრივი სტრუქტურა. ჩხირების სინაპსური დაბოლოებანი სფერული ფორმისაა, კოლბების სინაპსური დაბოლოებანი წარმოადგენენ ფართოდ დატოტიანებულ ფენს. ცხიმის წვეთების და პარაბოლოიდის დაკარგვა გველების ფოტორეცეპტორებში მიუთითებს იმაზე, რომ მათ გაიარეს ევოლუციის ის ხანგრძლივი პერიოდი, როდესაც მხედველობა მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდა. ეს მოსაზრება ეთანხმება უოლდის ჰიპოთეზას გველების ფოტორეცეპტორების ევოლუციის შესახებ. ახალშეძენილი სხივგარდამტეხი ულტრასტრუქტურები – მკვრივი გრანულები მიტოქონდრიებში ძველი, დაკარგული ულტრასტრუქტურების ჰომოლოგიური არ არიან.

ზოგადად კი გველების ფოტორეცეპტორები გვანან ხერხემლიანების ფოტორეცეპტორებს. ჩხირები შეიცავენ ტიპურ როდოპსინს, კოლბების უმრავლესობა კი ფრინველების იოდოპსინის მაგვარ გრძელტალღიან მხედველობით პიგმენტს. ის ფაქტი, რომ გველების ბადურაში არსებობს კოლბების ორი ტიპი და არანაკლებ 2 მხედველობითი პიგმენტი, გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ გველებს შეიძლება ჰქონდეთ ფერადი მხედველობა. ყურებიანი მრგვალთავას ბადურა კი მხოლოდ კოლბებისაგან შედგება, როგორც სხვა სინათლის ადაპტაციის მქონე ხვლიკებში. ხვლიკისებური გველის ბადურაშიც ნაპოვანია მხოლოდ კოლბები (სურ. 7). კოლბისებური ბადურის არსებობა ხვლიკისებურ გველში და მრგვალთავა ყურებიან ხვლიკში ალბათ განპირობებულია მათი დღის სინათლის მიმართ ადაპტაციით – ისინი ცხოვრების უმეტეს ნაწილს დღის სინათლეზე ატარებენ [8, 14].


ჩვეულებრივი გველგესლას ჩხირებისათვის დამახასიათებელია ტიპური როდოპსინი შთანთქმის მაქსიმუმით 500-505 ნმ, დიდი ერთმაგი კოლბების და ორმაგი კოლბების ცენტრალური კომპონენტისათვის კი – იოდოპსინი, შთანთქმის სპექტრით 550-560 ნმ. იოდოპსინი ნაპოვანია აგრეთვე ხვლიკისებური გველის კოლბებში (სურ. 8).



სურ. 8. ვიურზას ბადურის ჩხირებისა და კოლბების გარეთა სეგმენტების შთანთქმის სპექტრები. a - სადა მრუდე - როდოპსინის შთანთქმის სპექტრი - 502 ნმ. b - როდოპსინის შთანთქმის სპექტრი 555 ნმ ოპტიკური სიმკვრივის სინშირის სიზუსტე - 0,04


ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გველგესლების ოჯახის წარმომადგენლებს (ჩვეულებრივი გველგესლა, ვიურზა) ახასიათებთ თვალის ბადურაში ორი ტიპის რეცეპტორის არსებობა - ჩხირებისა (მხედველობითი პიგმენტით როდოპსინი) და კოლბებისა (მხედველობითი პიგმენტით იოდოპსინი). კოლბებს შორის გამოირჩევა დიდი და მცირე ერთმაგი კოლბები და ორმაგი კოლბები. მიუხედავად კოლბების ულტრასტრუქტურული თავისებურებისა, ისინი შეიცავენ ფრინველების მხედველობით პიგმენტის მაგვარ - იოდოპსინს. ორი მხედველობითი პიგმენტისა და ჩხირების და კოლბების არსებობა გველების ბადურაში შესაძლებლობას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გველებს ახასიათებს ფერადი მხედველობა [8, 14, 27].

შრინჰეილბი. ფრინველების თვალის ბადურა წარმოდგენილია 2 ძირითადი ტიპის ფოტორეცეპტორით: ჩხირებით და კოლბებით, რომლებიც უზრუნველყოფენ შავ-თეთრ და ფერად მხედველობას [6]. ფრინველების ფოტორეცეპტორის გარეგანი სეგმენტი შედგება მემბრანული დისკოების დასტებისაგან, რომლებიც მონაწილეობენ სინათლის სხივის რეცეპციაში (სურ. 9).



სურ. 9. მოზრდილი ქათმის - *Galus domesticus* თვალის ბადურის ფოტორეცეპტორის (ჩხირის) ელექტრონოგრაფია. გ.ს.მ.დ. - გარეთა მემბრანული დისკოები, პ.გ. - პიგმენტური გრანულები. ფიქს. 2% O_4 , ჩაყალიბ. ეპონ 812. X35000

შიდა სეგმენტის შემადგენლობაში შედის ელიპსოიდი, რომელიც მიტოქონდრიებისაგან შედგება. ისინი აძლიერებენ მემბრანულ დისკოებში სინათლის ზემოქმედებისას წარმოქმნილ ელექტრო პოტენციალს. ელიპსოიდის ქვემოთ ჩხირის ციტოპლაზმაში მოთავსებულია პარაბოლოიდი, რომელიც გრანულარულ ენდოპლაზმურ ბადეს წარმოადგენს. გლიკოგენის მარცვლები, რომლებიც განლაგებულია გრანულარული ენდ. ბადის მემბრანებს შორის უჯრედის ენერგეტიკულ წყაროს წარმოადგენენ. პარაბოლოიდის ქვემოთ ჩხირებში განლაგებულია ფოტორეცეპტორის ბირთვი, რომელიც ოვალური ფორმისაა, 1-2 მსხვილ ბირთვას შეიცავს, ქრომატინი დისპერსიულადაა განაწილებული კარიოპლაზმაში. ფოტორეცეპტორის ქვედა ნაწილი ოდნავ წაგრძელებულია და წარმოადგენს სინაპსურ ზონას ბადურის I ნერვული უჯრედების – ბიპოლარების დენდრიტებთან დაკავშირებისათვის. კოლბებში გარეთა სეგმენტსა და ელიპსოიდს შორის მოთავსებულია მსხვილი ცხიმის წვეთი (სურ. 10), რომლის არსებობა ზოგიერთი მეცნიერის აზრით ფერების გარჩევასთანაა დაკავშირებული [29].



სურ. 10. მოზრდილი ქათმის – *Galus domesticus* თვალის ბადურის ფოტორეცეპტორის (კოლბის) ელექტრონოგრაფა. გ.ს.მ.დ. – გარეთა მემბრანული დისკოები, მ.ბ. – მიუღერის ბოჭკო, შიდა სეგმენტის ცხიმოვანი წვეთი. ფიქს. 2% O_5O_4 , ჩაყალიბ. ეპონ 812. X35000

როგორც ყველა ხერხემლიანში, ქათმების ჩხირების და კოლბების გარეთა სეგმენტის მემბრანული დისკოების დასტები ვითარდებიან ჩანასახოვანი ბადურის ეპენდიმიური უჯრედის წამწამისაგან. ჩხირებში წამწამის პლაზმური მემბრანა მრავალ ნაკეცს ქმნის, რომელსაც ირგვლივ მთლიანად გადაფარება წამწამის ფუძედან გამოზრდილი პლაზმური მემბრანა. ე. ი. ჩხირის მემბრანები მთლიანად გახვეული არიან უჯრედის პლაზმატურ მემბრანაში (სურ. 9). კოლბებში კი ნაკეცები წამწამის პლაზმურ მემბრანიდან ვითარდებიან მხოლოდ ერთი მხრიდან, ხოლო გარეთა სეგმენტის მეორე მხარე დაფარულია სადა პლაზმური მემბრანით (სურ. 10). ჩხირების და კოლბების მემბრანული ცილა არის ოპსინი, რომელიც დაკავშირებულია ვიტამინ A-ს ალდეჰიდის – რეტინალის სხვადასხვა ფორმებთან. ჩხირებში ცილა ოპსინი დაკავშირებულია რეტინალის II - ცის ფორმასთან და ქმნის მხედველობით პიგმენტს – როდოპსინს. კოლბებში კი რეტინალი სხვა ტრანს-ფორმით არის წარმოდგენილი, რის შედეგად წარმოიქმნება ცილა იოდოპსინი. იოდოპსინი როდოპსინისაგან განსხვავებით ხასიათდება რესინთეზის უფრო სწრაფი უნარით [15]. ცილა ოპსინის სინთეზი მიმდინარეობს ფოტორეცეპტორის პარაბოლოიდის გრანულარული ბადესთან დაკავშირებულ პოლისომებში და შემდეგ გადაადგილდება ენდ. ბადის მემბრანების საშუალებით გარეთა სეგმენტის ფუძესთან სადაც ხდება ახალი მემბრანული დისკოების

წარმოქმნა [28]. რეტინალი კი ორგანიზმში ხვდება საკვებთან ერთად ვიტამინ – A-ს სახით. ვიტამინი A გროვდება ღვიძლში, იქედან კი სისხლის მიმოქცევის საშუალებით ხვდება თვალის პიგმენტური ეპითელიუმის უჯრედებში, ხოლო ამ უჯრედებიდან ექსკრეციის საშუალებით გადადის უკვე გარეთა სეგმენტების მემბრანებში რეტინალის სახით. რეტინალის მოლეკულა თავსდება ოპსინის მოლეკულებს შორის და ხელს უწყობს მემბრანის ულტრასტრუქტურის სტაბილიზაციას. ფოტორეცეპციის დროს როდოპსინი და იოდოპსინი იშლებიან, ბუნებრივია, იშლება მათ მიერ აგებული მემბრანებიც და ამ ნარჩენების ფაგოციტირებას ახდენენ პიგმენტური ეპითელიუმის უჯრედები [22, 24, 25] (სურ. 9, 10).

ფოტორეცეპტორული მემბრანის რთული აგებულების გამო ბევრი მეცნიერი მუშაობდა რეტინალის მნიშვნელობის გარკვევაზე ფოტორეცეპციის პროცესში. ამ კვლევების ობიექტი ძირითადად იყო თავკების ბადურა, რომლის ფოტორეცეპტორების შრე ჩხირებითაა წარმოდგენილი [16, 22]. ამის გამო, ჩვენ ლაბორატორიაში შესწავლილი იქნა ფრინველებში, კერძოდ ქათმებში A-ვიტამინის როლი ფოტორეცეპტორული მემბრანების ულტრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში, მათი ბადურა მეტი რაოდენობით კოლბებს შეიცავს.

ქათმებს 8 თვის განმავლობაში კვებადით საკვებით A-ვიტამინის გარეშე. გარეგანი ნიშნები A-ვიტამინოზიან ქათმებში გამოიხატებოდა თვალბინის ცრემლდენით, ქათმების გახდომით, მცირდებოდა მათი კვერცხის მდებელობა. ფოტორეცეპტორებში ცვლილებები გამოვლინდა პირველად ჩხირებში. მათ პლანური მემბრანაში აღინიშნებოდა გარეგანი სეგმენტების მემბრანების ოსმიოფილობა, მემბრანების დეზორიენტაცია და დაშლა. ცვლილებებს განიცდიდა შიდა სეგმენტიც: ელიპსოიდის მიტოქონდრიების ორიენტაცია შეცვლილი იყო, კრისტები კი დაშლილი. პარაბოლოიდში შეიმჩნეოდა დიდი რაოდენობით თავისუფალი რიბოსომების წარმოქმნა და ენდ. ბადის არხების ზომისა და რაოდენობის შემცირება. ეს ცვლილებები შეიმჩნეოდა კოლბების შიგნითა სეგმენტშიც [9]. A-ვიტამინის რაოდენობის მიკროსპექტრომეტრული განსაზღვრისას გამოირკვა, რომ ქათმის ღვიძლში ვიტამინ A-ს რაოდენობა შემცირდა 350 მკგ/გ-დან – 100 მკგ/გ-მდე, ბადურაში კი 100 მკგ/გ-დან 9,9 მკგ/გ-მდე [10]. შემდეგში საკვებს დაემატა რეტინალი (ვიტამინ A-ს დაჟანგული ფორმა). რეტინალით მდიდარი საკვების მიღებიდან 2 თვის შემდეგ ქათმების ბადურაში აღდგა ფოტორეცეპტორების (ძირითადად ჩხირების), მემბრანული დისკოების და შიდა სეგმენტების – ელიპსოიდის და პარაბოლოიდის ულტრასტრუქტურა [9, 10, 11].

ეს მონაცემები მოწმობენ, რომ რეტინალი ჩხირების მემბრანების ულტრასტრუქტურაში მასტაბილიზებელ როლს თამაშობს. მემბრანული დისკოების შემადგენელი ოპსინ-რეტინალის კომპლექსის არა მარტო ულტრასტრუქტურულ საფუძველს წარმოადგენს, არამედ ფუნქციონალურსაც. ამ ულტრასტრუქტურის აღდგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საკვებში რეტინალის დამატებით. კოლბების მემბრანული დისკოების ულტრასტრუქტურის შენარჩუნება A-ავიტამინოზის შემთხვევაში შეიძლება აიხსნას იმით, რომ იოდოპსინის რესინთეზის უფრო სწრაფი უნარი აქვს, ვიდრე როდოპსინს [29] და ამიტომ მას შეეძლო მიეტაცებინა რეტინალი A-ავიტამინის დეფიციტის პირობებში.

ოპსინის და რეტინალის სინთეზი იწყება ჯერ კიდევ ემბრიონალურ პერიოდში. ჩვენი მონაცემებით ქათმის ბადურის ემბრიონალური ფოტორეცეპტორების გარეთა სეგმენტის მემბრანული დისკოების ჩამოყალიბება ხდება ინკუბაციის მე-12 დღეს. ინკუბაციის მე-11 დღეს შეყვანილი აქტინომიცინი-D იწვევს რა რნმ-ს ტრანსკრიპციის ინჰიბირებას და ამით აფერხებს ოპსინის სინთეზს, რის შედეგად გარეთა სეგმენტის მემბრანების ჩამოყალიბება არ ხდება [11]. აქედან ჩანს, რომ ოპსინი მემბრანული დისკოების ძირითად ულტრასტრუქტურული კომპონენტია. თუმცა ამ მემბრანების მასტაბილიზებელი და ფუნქციონალური (ფოტორეცეპციის დროს) კომპონენტი არის რეტინალი, როგორც ეს ცნობილია ლიტერატურიდან და ნაჩვენებია ბოლო წლებში ჩატარებული ექსპერიმენტებით. ასე მაგალითად, A-ავიტამინოზიანი ქათმების დადებული კვერცხიდან გამოჩეკილ წიწილებს A-ავიტამინოზის ყველა ნიშანი ახასიათებდა: ფოტორეცეპტორების გარეთა დისკოების მემბრანების ბუშტუკისებური აგებულება, დისკოების მემბრანული დასტების დესტრუქცია – ფრაგმენტაცია და დაშლა. ეს პროცესი მეტად შესამჩნევია ჩხირების მემბრანულ დისკოებში. კოლბების გარეგანი სეგმენტის მემბრანების ძლიერი ცვლილებები არ შეიმჩნევა. სავარაუდოა, რომ ეს დაკავშირებულია კოლბების მხედველობითი პიგმენტის სწრაფ რესინთეზის უნართან.

მიღებული მონაცემები მოწმობენ, რომ ოპსინის და რეტინალის კომპლექსი ყალიბდება ჩანასახოვან პერიოდში ფოტორეცეპტორების გარეთა სეგმენტების ჩამოყალიბების დროს, სადაც მხედველობითი პიგმენტის ორივე კომპონენტი ოპსინიც და რეტინალიც – მნიშვნელოვან ულტრასტრუქტურულ როლს თამაშობენ ფოტორეცეპტორული მემბრანის ჩამოყალიბებაში. რომელიმე კომპონენტის უქონლობა არღვევს ფოტორეცეპტორული მემბრანის ულტრასტრუქტურას და ფუნქციასაც. საინტერესოა ის ფაქტი, რომ შთამომავლობით მიღებული A-ავიტამინოზი ისეთივე ცვლილებებს იწვევს წიწილების

ჩხირების გარეთა სეგმენტის სტრუქტურაში, როგორც მოზრდილ ქათმებში ხელოვნურად მიღებული ავიტამინოზის დროს.

ქპქშმწწწმწმწმწმწმწ. ძუძუმწოვრების ფოტორეცეპტორები მკვეთრად პოლარიზებული უჯრედებია, რომელთა ფუნქციაა გარდაქმნას სინათლის ენერგია ნერვული აგზნების ელექტრულ სიგნალად. სინათლის ენერგიის ინტენსიობის, აღქმასა და მასთან ადაპტაციის მიხედვით არჩევენ მხედველობის უჯრედების ორ ძირითად ტიპს: ჩხირებს, რომლებიც მგრძობიარენი არიან 500-502 ნმ ტალღის სიგრძის მოცისფრო-მომწვანო სინათლისადმი და ფუნქციონირებენ მზის ჩასვლის შემდეგ და კოლბებს, რომლებიც რეაგირებენ სინათლის გრძელ (წითელ), საშუალო (მწვანე) და მოკლე (ლურჯი) ტალღებზე. ადამიანსა და პრიმატებში კოლბები ქმნიან ტრიქრომატული მხედველობის საფუძველს. ტრიქრომატული მხედველობა აქვთ აგრეთვე ფრინველებს, რეპტილიებს და ზოგიერთ თევზებს.

ძუძუმწოვართა უმეტესობა განეკუთვნება დიქრომატული მხედველობის ტიპს (ჩხირები და მოკლეთალღოვანი სინათლის აღმქმნელი კოლბები). როდესაც ცხოველის ბადურაში ჭარბობს ჩხირების რაოდენობა, მას ღამის მხედველობის ცხოველს უწოდებენ და პირიქით, კოლბების სიჭარბის შემთხვევაში ცხოველის მხედველობა დღის ტიპს განეკუთვნება.

ჩვენი კვლევის ობიექტები იყვნენ ე. წ. დიქრომატული მხედველობის მქონე ცხოველები, კერძოდ ძაღლი და ბოცვერი. მასალას ვიღებდით დღის 10-12 სთ და საღამოს 10-11 სთ-ზე (ე. ი. მაქსიმალური განათების და სიბნელის პირობებში) მათი დამუშავება ხდებოდა ელექტრონული მიკროსკოპის და სინათლის მიკროსკოპისთვის შესაფერისი პრეპარატების მომზადების მიხედვით. მიღებულია ელექტრონოგრაფები და ნახევრად თხელი ანათლების პრეპარატები.

წინასწარი ანალიზით ცხადი ხდება, რომ ამ ცხოველების მხედველობა ე. წ. ღამის ტიპს განეკუთვნება. ამაზე მეტყველებს შემდეგი გარემოებები:


1. მათ ბადურაში სჭარბობს ჩხირის ტიპის ფოტორეცეპტორები.
2. მეტად მცირე რაოდენობითაა კოლბები. მათ არ გააჩნიათ დამახასიათებელი ცხიმის წვეთი და ამის ადგილს მიტოქონდრიების დიდი ჯგუფი იკავებს.
3. კარგადაა განვითარებული ბადურის გარე ბირთვული შრე და შედარებით სუსტად შიდა ბირთვული და განგლიოზური უჯრედების ფენა. რიგი მკვლევარების მონაცემებით ცნობილია, რომ ე. წ. დღის მხედველობის ტიპის ცხოველებში უკეთესადაა განვითარებული შიდა ბირთვული და განგლიოზური უჯრედების შრე.

როგორც უკვე ითქვა, ძაღლისა და ბოცვერის თვალის ბადურის ფოტორეცეპტორული შრე ძირითადად ჩხირებისგანაა შედგენილი. ჩატარებულ გამოკვლევებში ამ ცხოველების თვალის ბადურაში კოლბების ტიპის ფოტორეცეპტორები იშვიათობას წარმოადგენს. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ადასტურებს კოლბების არსებობას [1, 2, 5, 17, 25]. ჩხირის ტიპის ფოტორეცეპტორები შედგებიან შიდა და გარე სეგმენტებისაგან. შიდა სეგმენტის შემადგენლობაში შედის ელიპსოიდი. ეს არის მიტოქონდრიების ჯგუფი. ბოცვერის ფოტორეცეპტორების შიდა სეგმენტში შეინიშნება 5-6, თითქმის მთელი სეგმენტის სიგრძეზე გადაჭიმული მიტოქონდრია. ძაღლებში ისინი შედარებით მოკლე და მომრგვალო ფორმისაა. ამ მიტოქონდრიებს გააჩნიათ ნათელი მატრიქსი და კარგად გამოხატული კრისტები. შიდა სეგმენტის შემადგენლობაში შედის აგრეთვე მიოიდი, რომელიც ბირთვთან ახლოს მდებარეობს და მოიცავს გრანულარულ ენდოპლაზმურ ბადეს, თავისუფალ რიბოსომებს, გოლჯის აპარატს, ვაკუოლებს, გლიკოგენის გრანულებს და სხვა. ე. ი. ტიპიურ პარაბოლოიდს წარმოადგენს (სურ. 11).


ჩხირების ბირთვი ოვალური ფორმისაა, საკმაოდ დიდი ზომის და მდებარეობს შიდა სეგმენტის ბაზალურ ნაწილში. აქვს ერთი ან ორი კარგად გამოხატული ბირთვაკი. ფოტორეცეპტორის სინაფსური დაბოლოება შედის ბადურის გარე (სინაფსური) ბადებრივი შრის შედგენილობაში და ქმნის ბიპოლარული უჯრედებისა და ჰორიზონტალური უჯრედების დენდრიტებთან და აქსონებთან კონტაქტებს. გარდა ამისა შეინიშნება მეზობელი ჩხირების სინაფსურ დაბოლოებებს შორის კავშირებიც.

ფოტორეცეპტორული უჯრედების აპიკალურ ნაწილში განთავსებული ბაზალური სხეულაკებიდან ვითარდება ე. წ. შემაერთებელი წამწამი. იგი კარგადაა გამოხატული ძაღლისა და ბოცვერის ჩხირებში. შეიცავს წრიულად განლაგებულ მიკროვილების 9 წყვილს და არ შეიცავს ცენტრალურ წყვილს. შემაერთებელი წამწამი აერთებს ფოტორეცეპტორის შიდა და გარე სეგმენტებს.

რაც შეეხება ფოტორეცეპტორული უჯრედის გარეგან სეგმენტს, იგი შედგება ორმაგი მემბრანული დისკოების მწკრივისაგან, რომელიც პლაზმატური მემბრანითაა გარშემორტყმული. თითოეულ დისკოს აქვს შიდა სივრცე, რომელიც ფართოვდება დისკოს კიდეებზე და ქმნის ე. წ. დისკოს რკალს. თვით დისკოები დამოუკიდებელი ერთეულებია და პლაზმატურ მემბრანასთან მემბრანული კავშირი არ აქვთ.



სურ. 11. ძაღლის – *Canis familiaris* თვალის ბადურის ფოტორეცეპტორის ელექტრონოგრაფია. გ.ს.მ.დ. – ჩხირის გარეგანი სეგმენტის მემბრანული დისკოები, ელ. – ელიპსოიდი მიტოქონდრიებით, წ.ფ. – წამწამის ფუძე. ფიქს. 2% O_3O_4 , ჩაყალიბ. ეპონ 812. X50000



სურ. 12. ბოცვერის – *Orictologus cuniculas* თვალის ბადურის ფოტორეცეპტორის ელექტრონოგრაფია. ჩ.გ.ს.მ.დ. – ჩხირების გარეთა სეგმენტის მემბრანული დისკოები, პ.ეპ. – პიგმენტური უჯრედების მორჩები, პ.გ. – პიგმენტური გრანულები. ფიქს. 2% O_3O_4 , ჩაყალიბ. ეპონ 812. X20000

ძაღლის და ბოცვერის თვალის ბადურის ჩხირების გარე სეგმენტი წაგრძელებული ფორმის, დაახლოებით 25-30 მ სიგრძისაა და მისი აპიკალური ნაწილი ეხება პიგმენტურ ეპითელიუმის შრეს. იქმნება მრავალრიცხოვანი კონტაქტები პიგმენტური ეპითელიუმის მორჩებსა და ფოტორეცეპტორების გარე სეგმენტებს შორის (სურ. 12).

ჩვენი და ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ ძაღლი და ბოცვერი მოკლებულია ფერად მხედველობას და ევოლუციურად ღამის სინათლის მიმართ ადაპტირებული

ცხოველებია [6]. თუმცა დღისითაც ძალი და ბოცვერი კარგად ხედავენ, მაგრამ საგნებს ლურჯ-მწვანე ფერებში აღიქვამენ.

მიღებული შედეგების განხილვა

ჩატარებული გამოკვლევების და ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დედამიწაზე არსებობს ერთადერთი ორგანული მოლეკულური ნაერთი – კაროტინოიდი, რომელიც მზის სხივის – ფოტონის გავლენაზე განიცდის ქიმიურ ცვლილებებს, რის შედეგად წარმოიქმნება ელექტროპოტენციალი. მცენარეულ უჯრედებში კაროტინოიდებიდან მიღებული ელექტროპოტენციალი ხელს უწყობს ქლოროფილის მარცვლებში ფოტოსინთეზის პროცესს, რის შედეგად წარმოიქმნება პირველი ორგანული ნაერთი – გლუკოზა. ცხოველებში კაროტინოიდის ქიმიური ცვლილებების საფუძველზე ხდება სინათლის აღქმა.

ცხოველთა სამყაროს ევოლუციის პროცესში კაროტინოიდების ჯგუფის მოლეკულების სტრუქტურული ევოლუციაც მიმდინარეობდა: წარმოიქმნა რეტინალი-კაროტინოიდი, რომლის ფორმები – 11 - ცის რეტინალი, ტრანსრეტინალი ერთმანეთის იზომერულ ფორმებს წარმოადგენენ და შედიან სხვადასხვა მხედველობით პიგმენტებში. მხედველობით პიგმენტებში რეტინალი უკავშირდება ცილა-ოპსინს. რეტინალის იზომერული ფორმის მიხედვით ევოლუციის პროცესში წარმოიქმნა მხედველობითი პიგმენტის სხვადასხვა სახე: როდოპსინი, რეტინოქრომი, პორფიროპსინი, ციანოპსინი და იოდოპსინი შთანთქმის სპექტრებით 500 ნმ – 622 ნმ-მდე. ყველაზე გავრცელებულ ფორმებს როდოპსინი და იოდოპსინი წარმოადგენენ.

სინათლის აღქმა არ განისაზღვრება მხოლოდ მხედველობითი პიგმენტის ნაირსახეობით, არამედ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პროცესში იმ ულტრასტრუქტურულ არქიტექტონიკას, რომლის შექმნაში მონაწილეობს მხედველობითი პიგმენტი და რომელიც აძლიერებს სინათლის სხივის მიერ წარმოქმნილ ელექტროპოტენციალს, ამასთან უზრუნველყოფს მის გადაცემას ნერვულ უჯრედამდე. აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ცხოველთა სამყაროს ევოლუციის პროცესში აუცილებელი იყო მხედველობითი პიგმენტის ჩართვა რთულ ულტრასტრუქტურულ კომპონენტებში. როგორც ჩანს, მოხდა იოდოპსინისა ან სხვა რაიმე პიგმენტის დაკავშირება მემბრანული სტრუქტურების წარმომქმნელ ცილა-ოპსინთან. შედეგად წარმოიქმნა ფოტორეცეპტორების მემბრანული დისკოები ხერხემლიანებში და რეტინალური უჯრედების ფილაპენტები მწერებში.

თუ განვიხილავთ უმარტივესებს, დავინახავთ, რომ შოლტოსნებში (*Evglena viridis*) შოლტის ბაზალურ მარცვალთან შეიმჩნევა სინათლის შემგრძნობი პიგმენტის გროვები, რომლებსაც პიგმენტურ ლაქას უწოდებენ. უფრო რთულადაა აგებული პიგმენტური ლაქა ნაწლავლურუიანებში, კერძოდ – მედუზებში. მედუზების როპალიაში პიგმენტის განლაგებას უკვე ჯამისებური ფორმა აქვს, ხოლო ჯამის ცენტრში მოთავსებულია მგრძნობიარე უჯრედი. საინტერესოა, რომ ასეთივე პრიმიტიული „თვალი“ ახასიათებს ქორდიანების წინაპარს – ამფიოქსუსს, სადაც კანქვეშა ზურგის ტვინის ქსოვილში მდებარეობს ჰესეს თვალუკი. უკანასკნელი წარმოადგენს ჯამისებურად განლაგებულ პიგმენტური მარცვლების გროვას, რომლის ცენტრში მოთავსებულია ერთი მგრძნობიარე უჯრედი. პრიმიტიული სხივშემგრძნობი ორგანოებისგან თვალის რეცეპტორული ნაწილის ევოლუცია წავიდა 2 მიმართულებით: უხერხემლოებში (კერძოდ მწერებში) რთული ფასეტური, ხოლო ხერხემლიანებში რთული თვალის წარმოქმნით. ამ უკანასკნელებში ფოტორეცეპციას ახდენენ ცალკეული უჯრედების პლაზმური მემბრანებისაგან წარმოქმნილი ორგანოიდები – მემბრანული დისკოები, სადაც მხედველობითი პიგმენტი ჩაშენებულია მემბრანული სტრუქტურების შემადგენელ ცილოვან მოლეკულებს შორის მასტაბილიზირებელი ლიპიდური კომპონენტის სახით. მართალია, მუცელფეხა და თავფეხა მოლუსკებს ახასიათებთ ხერხემლიანთა მსგავსი თვალის არსებობა, მაგრამ ისინი ბევრად უფრო პრიმიტიული აგებულებისაა. *Helix lucorum*-ის ბადურა მხოლოდ ერთ რიგად განლაგებული მაღალპრიზმული წამწამიანი უჯრედებითაა წარმოდგენილი, რის გამოც ამ ცხოველს მეტად სუსტი მხედველობა აქვს. ხრამულის, წვერას თვალი შედარებით უფრო რთული აგებულებისაა, მაგრამ ფოტორეცეპტორების მემბრანული კომპლექსების სუსტი განვითარება სუსტი მხედველობის მაჩვენებელია.

მწერების ფასეტური მხედველობა შეიძლება შედარებული იქნას ხერხემლიანების, კერძოდ ძუძუმწოვრების მხედველობასთან, ოღონდ მათგან განსხვავებით. მწერების მხედველობის სტრუქტურული

níððáðððððððððð ãíóððáííáíó ñááíáíóð òíðíðáòáíðíðíá. Á áàçàèuííé ÷àñðè èéáðèè íàòíayðñý çáðíá áðóáíáí çðèðáèuííáí íèáíáíðà ðíáíòðíà, çà ñ÷áð èíðíðíáí íðíèñòíáèð áíññðáííáèáíèðá ðíáííñèíá, ðàñùáíèyþùááíñý ííá ááèñðáèáí ñááðà íà ááèíè ííñèí è ðáðèíáèú. Õàèíè ííèáèóeyðíúé íáðáíèçì áíññðáííáèáíèy ðíáííñèíá ñáèááðáèúñðáóáð í àèððíèçíá Helix lucorum, òáðáèðáðííé òàèæá è àey èññèááííáííúò íàìè íàñáèííúò.

Ó èññèááííáííúò íàñáèííúò – íááííñííé í÷áèú ñ áíááíúì òèíí çðáíèy, íí÷íé áááí÷èè è íóðááúy, àèðèáííáí è áíáí è íí÷up, íðèíòèí ñððíáíèy íàðèáèè ðàñáðí÷íáí áèàçà, à òàèæá ííèáèóeyðíúé íáðáíèçì áíñíðèyðèy ñááðà ñðíáíúé, íðèè÷ayñú èèøú ááðáèyíè á çàáèñèííñðè íð òèíà çðáíèy. Íñíááííñðè ñððíáíèy íàðèáèè: èðèáèçíá èíðíááèuííé èèíçú, áèèíá èðèñðáèèè÷áñèíáí èííóñà, óèúððàñððóèðððá ðáðèíáèuííúò èéáðíè, ÷èñèí íèèðíáèèè, íáðáçòpùèð ðáááí è èíèè÷áñðáí íèáíáíðà ííðáááèyþò òèçèíèíáè÷áñèèá è áááíðáòèííúá áíçìíáííñðè íàðèáèè, òáí ñáíúì ííðáááèyý òíðíðèíè÷áñèèè (Apis mellifere) èèè ñèíðíðèíè÷áñèèè (Sanio cocropa) òèí çðáíèy íàñáèííúò. Íóðááúè (Formica rufa) çáíèíàþò íðííáæòðí÷íóþ ííçèòèþ íáæáó íèìè. È áááíðèáíúì íñíááííñðýì è íáðáçò æèçíè áèàçà í÷áè ñèááóáð íðíáñðè ñèèuíóþ ííóðáííñðú íàðèáèè, íáèè÷èá íáæáó íàðèáèèyíè òíèñðúò è áèèííúò áíèíñèíá. Íà ííááðòííñðè ðàñáðí÷íáí áèàçà íóðááúy, èíàþðñý ááèíè÷íúá áíèíñèè, à ó íí÷íé áááí÷èè ííááðòííñðú áèàçà áèááèay.

Èçò÷áííúá íàìè òíðíðáòáíðíðíðú ðúá – òðáíóèè è óñà÷à èíàþò ñððóèðððð, òáðáèðáðíóþ àey òíðíðáòáíðíðíá áðóáèð ííçáííí÷íúò. Ó ýðèð ðúá èíàþðñý íáèí÷èè, ááíèíúá è íáèí÷íúá èíèáí÷èè ñ ááñòááðííè èáíèáè æèðá. Íðèè÷èy á ñððóèððð òíðíðáòáíðíðíá áúyáèyþðñý á áíèáá óáèèíáííí íáðóáííí ñááíáíðá íáèí÷áè è èíèáí÷áè òðáíóèè è á áíèáá ðèðíèíí áíóððáííáí ñááíáíðá óñà÷à. Íáèè÷èá èíèáí÷áè ñ ááñòááðííè èáíèáè æèðá ñáèááðáèúñðáóáð í ñèááíí òááðíáíí çðáíèè ýðèð èèðíðèèuííúò ðúá.

Á áèàçàò èññèááííáííúò àìðèáèè – òðáayííé èyáóøèè è òðèðííá íðíá÷ááðñý áíèúøíá ðáçíííáðáçèá òíðíðáòáíðíðíá: èíàþðñý çáèáíúá è èðáñíúá íáèí÷èè, íáèí÷íúá è ááíèíúá èíèáí÷èè. Óíèèèè ç çáèáíúò è èðáñíúò íáèí÷áè àìðèáèè áí èííòá íá áúyñíáíá, íáèè÷èá æá èíèáí÷áè ñáèááðáèúñðáóáð í ñíííáííñðè èññèááííáííúò àìðèáèè ðáçèè÷áðú òááðà.

Èññèááííáííúá ðáíðèèèè - óðáñðay èðóáèíáíèíáèà, áááþèá íáúèíááííáy, áþðçà, yùáðè÷íay çíáy, òáðáèðáðèçòþðñý ðáçíííáðáçèáí ñíñðááá òíðíðáòáíðíðíá. Á ñíñðááá ñáð÷áðèè óðáñðíè èðóáèíáíèíáèè è yùáðè÷íé çíáè èíàþðñý èèøú áíèúøèá è íáèúá íáèí÷íúá è ááíèíúá èíèáí÷èè, áíèúøèíðáí èíðíðúò ñíááðæèð íàñèyíóþ èáíèþ. Á ñáð÷áðèá èíèáí÷èè íáðáçòþð æáèðíá íyðíí (fovea), ÷ðí ñáèááðáèúñðáóáð í íáèè÷èè òááðííáí çðáíèy ó ýðèð ðáíðèèèè. Ó áááþèè è áþðçú á ñáð÷áðèá áúyáèyþðñý è íáèí÷èè, íáðyáó ñ áíèúøèèè è íáèúèè íáèí÷íúá è ááíèíúè èíèáí÷èáìè.

Ó èóð ííðíáú «Ááèay ðóññèay» ñáð÷áðèá íáèááááð 2 òèíáìè ðáòáíðíðíá: íáèí÷èáìè è íáèí÷íúá è ááíèíúè èíèáí÷èáìè ñ íñíáí èðóíííè íàñèyííè èáíèáè. Íðè èíðíèáíèè íðèð íèúáè ñ ááðèòèðíí áèðáìèíá Á, íðíèñòíáèð ðáñíáá íáíáðáííúò áèñèíá íáðóáíúò ñááíáíðíá íáèí÷áè, ÷ðí áúçúáááð ñíèæáíèá ñóíáðá÷íáí çðáíèy íðèð. Ñðíáííá íáðóóáíèá íáíáðáííúò áèñèíá íáèí÷áè íáèþáááðñý è ó óúíèyð ñèááóþùááí ííèèáíèy. Á íáíáðáííúò áèñèáò èíèáí÷áè ííáíáíúò ááñððóèðèáíúò èçíáíáíèè íá íáèþáááðñý, íí-áèáèííó, á ñáyçè ñ áíèáá áúñððúì ðáñèíðáçíí ðáðèíáèy. Ýðè ááííúá ñáèááðáèúñðáóþð í ááæííè ðíèè ðáðèíáèy á óèúððáñððóèðððá ñááðí÷óáñðáèèðáèuííúò íáíáðáí íáèí÷áè.

Ó èññèááííáííúò íèáèíèðáþùèð – ááñííðíáííúò ñíááè è èðíèèèá ñáð÷áðèá íðááñðááèáíá íáèí÷èáìè è èíèáí÷èáìè, ááá áíáñðí íàñèyííè èáíèè èíááðñý áíèúøíá ÷èñèí íèðíðííáðèè. ðáçèè÷èy á óèúððáñððóèðððá íáèí÷áè ñíááè è èðíèèèá çáèèþ÷ááðñý á áíèáá óáèèíáííúò íí òíðíá íèðíðííáðèyð áíóððáííáí ñááíáíðá. Ýðè æèáíðíúá, íáñííðy íà íáèè÷èá èíèáí÷áè, íá íáèáááþò ðèðíèèíí ñíáèððíí òááðíáíáí çðáíèy.

Íðíáááííáíá ñðááíèðáèuííá èññèááííáíèá óèúððáñððóèðððíúò è ííèáèóeyðíúò íñíá òíðíðáòáíðèè ííèáçáèí, ÷ðí èíííèáèñíá ñíááèíáíèá ááèèá ííñèíá è èáðáðèííèá – ðáðèíáèy (è ááí èçííáðíúò òíðí), yáèyáðñý ááèíðááííúì ñááðí÷óáñðáèèðáèuííí ñíááèíáíèáí á æáíðííí íèðá. Ñóúáñðáóy á áèáá áðáíóè çðèðáèuííáí íèáíáíðá ó æáóðèèíáúò íáííèááðí÷íúò è ó

Investigated Reptiles are characterized as a owners of various composition of photoreceptors. The eye retina of Rhynchocephalus mystaceus and Malpolon monosspaulanus are found only big and small single and double cones, most of which contain yellow colored oil drops. The cones form fovea (yellow spot) in their retina, what indicates on a well developed colored vision. In Vipera beras and Vipera libetina’s eye retina are seen rods and cones: small and big single and double ones. In the inner segments of cones of snakes in the mitochondria are observed a great deal of glycogen grains. This structure in it’s function is similar with the oil droops.

The eye retina of such hens as Calus domesticus posseses two types of photoreceptors rods and single and double cones with especially huge oil drops in the inner segment. If hens are given the food without Vitamin “A” you can find disintegration of membrane discs of rods, what causes falling of nocturnal vision in hens. The similar disintegration is found in a chickens, which are hatching from the eggs of A-avitaminized hens. The similar changed do not take place in the membrane discs of cones, may be due to swift resintes of retinal. Feeding A-vitaminized hens with retinal, ultrastructure of membrane discs of rods restore. So the experiment results indicate an a significant role of retinal in the ultrastructure of light-sensitive membranes of rods.

Studied mammals such are dogs and rabbits retina is presented with rods and cones. Where the place of oil drops is taken by great number of mitochondrea. The difference in the ultrastructure of eye retina of thes mammals is that Robbitts mitochondrea of inner segment of photoreceptors are longer. There is a good developed myoid in the inner segment. These animals in spite of possesing cones don’t have a wide spectrum of colored vision.

The comparative investigation of ultrustructural and molecular base of photoreception has shown that these complex combination of protein opsin and carotinoid – retinal (and its isophormes) is only one lightsensitive macromolecule combination in the world animals. In Flagellates lightsensitive macromolecule present as a grain, they are in the same form in Helix lucorum and in Insects facet eyes, but in Vertebrates combination of rodopsin and Iodopsin becomes the macromolecular base in the formation of ultrustructure of the lightsensitive membranes of photoreceptors. Therefore, we can suppose, that in the process of evolution of vision on the similar molecular nuchanism of fotoreception, the ultrustructural base of fotoreception has been going parallely in the Invertebrates and Vertebrates animals.

ლიტერატურა

